ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 25 აპრილი, 2019 №97 (8051) ფასი: 60 თეთრი

ვახტანგ ძაბირაძე: „ივანიშვილი ცდილობს, პოლიტიკური პროცესები თვითდინებაზე მიუშვას“

გვ.4

23 აპრილიდან

კარლო კოლოდი

პინოკიოს თავგადასავალი



„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

პანკისს ქეთევან ციხელაშვილს გადაყოლებენ

გვ.2

ზოთა მალაშხია: „2020 წლამდე „ოცნება“ სულს გააფრთხობს“

გვ.3

„ყველა ემსახურება ერთი კაცისა და მისი გარემოცვის ინტერესებს“

სოსო ცისკარიშვილი: „თავისუფლება ბიძინას!“

„ქართული ოცნება“ ხელოვნურ სუნთქვაზეა“

გვ.3

ვახტანგ გომელაური ევროკომისიის მიგრაციისა და საშინაო საქმეთა გენერალური დირექტორის მოადგილეს შეხვდა

გვ.5

სამართალი

გვ.7

ლევან ჯიბღაშვილი: „კალაძეს არ ვიცნობ, მანქანაში რაც იპოვეს, ყველაფერი ჩემია“

ბიზნესმენის ავტომობილიდან კოკაინი და ექსტაზია ამოღებული

ვანო მერაბიშვილს ვადამდე გათავისუფლებაზე უარი ეთქვა

გორიჯვრის მთაზე გოგა დოლიაშვილი ჩამომხრჩვალი იპოვეს

გვ.7

ეკონომიკა

გვ.6

ვინ ფლობს გარე რეკლამის ბაზარს თბილისში — გადათამაშება ბიზნესში

„გლეხების მიერ წარმოებული რძის პროდუქტის რეალიზაცია შეიზღუდება, თუ ისინი ჰიგიენის ნორმებს არ დაიცავენ“

ლაშა იორდანიშვილი: „ჰიდრორესურსების ათვისებას საქართველოში ალტერნატივა არ გააჩნია“

ISSN 1987-9385

5 დავით ლორთქიფანიძე: „ხელისუფლებაში ცვლილებები არ იგეგმება“

4 უჩა ნანუაშვილი: „ხელისუფლებამ პანკისის მოსახლეობის დაშინება ცადა“

2 პაატა დავითაია: „პანკისში პროვოკაცია რუსეთის მოქალაქე გახარიამ მოაწყო“

7 2 ნიგერიელს ინდოელის გაუპატიურებისთვის 10-10 წელი მიესაჯა

„პანკისში პროვოკაცია რუსეთის მოქალაქე გახარიამ მოაწყო“

პაატა დავითაია: „მთელ ხეობას რომ დაჭერით ემუქრებიან, ასეთი მაგრები თუ არიან, სეპარატისტები დააკავონ“

შორენა მარსაგიშვილი

არის თუ არა მმართველ გუნდში შიდა დაპირისპირება, რისთვის ემზადება რამზან კადიროვი, რა საქმე გაუკეთა რუსეთს რუსეთის მოქალაქე გახარიამ? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი პაატა დავითაია ესაუბრება.

– ხელისუფლება ისედაც არ გამოიყურებოდა კარგად, მაგრამ 21 აპრილს პანკისში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ბევრი ნაკლოვანება გამოაჩინა. თქვენი აზრით, რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ ამ მოვლენებიდან?

– რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ? ამ ყველაფრის უკან დგას რუსეთის ფედერაცია. მოსკოვი გამუდმებით ცდილობს, რომ პანკისის ხეობაში რამენაირად სიტუაცია არიოს. მას შემდეგ, რაც საქართველო დამოუკიდებელი გახდა, სულ მიდიოდა საუბარი, სად დაეწყოთ კონფლიქტი – აჭარაში, აფხაზეთში თუ პანკისში. მაშინ აფხაზეთი იქნა შერჩეული.

ამით პანკისის თემა არ დახურულა. შევარდნაძის დროს ხეობაში ჩეჩნეთიდან ხალხი გადმოდიოდა, მოსკოვი თბილისს ტერორიზმის ხელშეწყობაში სდებდა ბრალს. რაღაც გეგმებიც ჰქონდათ, მაგრამ არ გამოუვიდათ.

ვითარების ესკალაციის მცდელობას სააკაშვილის დროსაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ არც მაშინ გამოუვიდათ.

არ გამოუვიდათ იმიტომ, რომ პანკისელებს ქართული სახელმწიფო უყვართ და პატივს სცემენ. ადგილობრივმა მოსახლეობამ არაერთხელ გამოიჩინა თავდადება ჩვენი ქვეყნის მიმართ. ამის დაუნახაობა არის მიუღებელი.

ამ ადამიანების სახელმწიფოებრივმა აზროვნებამ გადაარჩინა პანკისის ხეობა, რომლის არევასაც მაქსიმალურად ცდილობდა ყველა.

დღეს ჩვენ ვხედავთ საოცარ რამეს – რაღაც პატარა ჰესის გამო, მოსახლეობის წინააღმდეგ იყენებენ ძალას. და ამას აკეთებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელიც რუსეთის მოქალაქეა.

იბადება კითხვა, რა დგას ყოველივე ამის უკან. არ გეგონოთ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრს რამეში ვდებდე ბრალს, უბრალოდ მიჩნდება კითხვა, რატომ გამოიყენა მოსახლეობის დასარბევად ძალა. კადრებში კარგად ჩანს, რომ აქციაში ქალები და ბავშვები მონაწილეობდნენ.

ძალის გამოყენება არ იკმარეს და ახლა გახარია ხალხს დაჭერით ემუქრება. იმ აქციაში მთელი ხეობა მონაწილეობდა და ყველას ხომ არ დაიჭერენ? ასეთი მაგრები თუ არიან, წავიდნენ და სეპარატისტების ლიდერები დაიჭირონ.

– რომელი სეპარატისტები?

– სოხუმში და ცხინვალში რომ სხედან. ასეთი მაგრები თუ არიან, წავიდნენ და დაიჭირონ ისინი. იმათ რომ ვერაფერს უბედავ და პანკისელების დაჭერას აპირებ, ეს არის ყოვლად მიუღებელი.

პანკისში ვითარების დაძაბვა არის ანტისახელმწიფოებრივი ქმედება. თქვენი გაზეთით ვურჩევ ხელისუფლებას, რომ შეწყვიტოს ძალის ენით საუბარი და ყველაფერი გააკეთოს, რომ ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობა გაუმჯობესდეს.

მხოლოდ ასე ჩამოირეცხავენ იმ სირცხვილს, რაც 21 აპრილს ნახა ქართულმა სახელმწიფომ.

– ხელისუფლება ამბობს, რომ ჰესი, რომელსაც ლამის ომი მოჰყვა, მოსახლეობის მდგომარეობას გააუმჯობესებს.

– ჰესი აუცილებელია და არავინ ამბობს, რომ ჰესები არ უნდა აშენდეს, მაგრამ როცა მოსახლეობა ამის წინააღმდეგია, სხვანაირად არის მოქცევა საჭირო. ძალის გამოყენება და ძახილი, მე ასე მინდა, არ შეიძლება.

– ამ მოვლენებთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია იკვეთება, რომ ვიღაცას ხეობის არევა სურს, ანდა სახელმწიფო პანკისელებისთვის ძალის ჩვენებას ცდილობს. გამოიკვეთა მესამე ვერსიაც, რომ ეს ყველაფერი შს მინისტრ გახარიას გაუჩალიჩეს. თქვენ რას ფიქრობთ გაჩალიჩებაზე?

– გაჩალიჩების ვერსიის არ მჯერა. გიორგი გახარია არ ტოვებს სულელის შთაბეჭდილებას. რას ჰქვია, შინაგან საქმეთა მინისტრს ვიღაცამ რაღაცა გაუჩალიჩა? მოიცა, სპეცრაზმი ჩაუდეს ჯიბეში თუ რა ხდება? სპეცრაზმი ემორჩილება შს მინისტრს და მისი ბრძანების საფუძველზე დაიწყეს აქციის დარბევა.

შინაგან საქმეთა მინისტრს თუ ვიღაცა რაღაცას უჩალიჩებს, მაშინ ვაი ამ მინისტრს და ვუი სახელმწიფოს – კატასტროფაში ვყოფილვართ მთლად.

21 აპრილს პანკისში მომხდარი ძალიან ცუდად აისახება საქართველოს ხვალინდელ დღეზე. ერთი იყო ის, რომ ვიღაცას სიტუაციის დაძაბვა სურდა, ხოლო მეორეა, რომ ჩვენ გაქცეული სამართალდამცავები ვნახეთ.

ამას ხომ სეპარატისტებიც უყურებდნენ. მათაც ნახეს, როგორ გამორბიან სპეცრაზმელები. არ არის ეს ლამაზი.

– პოლიციელების გაქცევაზე როცა მიდის საუბარი, ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად იხსენებენ 2004 წელს ცხინვალში მომხდარ ინციდენტს. როცა სამმა ოსმა ბოევიკმა 50-მდე ქართველი პოლიციელი დააჩოქა.

– არა, არა, არა. არც მინდა ცხინვალი რამენაირად შევადარო პანკისს. პანკისელები ყოველთვის ქართული სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ. ამისთვის მათ დიდ მადლობას ვუხდი.

– პანკისელები ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ არასდროს წასულან, მაგრამ პოლიციისთვის ქვების სროლა რამდენად მოდის კანონთან შესაბამისობაში?

– უკაცრავად და როცა შენ უფლებამოსილებას ამეტებ, ამაზე აუცილებლად მიიღებ პასუხს. 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის მონაწილე ვარ მე და სხვებთან ერთად დამარბიეს. მაშინ სამართალდამცავებმა უფლებამოსილებას გადაამეტეს და ამაზე პასუხიც აგეს.

– ამაზე პასუხი კანონის წინაშე აგეს. აქციის მონაწილეებს მათთვის ხომ არ გისვრიათ ქვები?

– არ გვისვრია. აქეთ გვესროდნენ რეზინის ტყვიებს და ხელკეტებით დაგვდევდნენ. ძალის გადამეტებად ჩაითვალა 2011 წლის 26 მაისის დარბევაც. მათაც აგეს პასუხი.

იმ დღეს პანკისის მოსახლეობამ სახე შეინარჩუნა და დღესაც საქართველოს სახელმწიფოს მიმართ აფიქსირებენ პატივისცემას. ეს აშკარად ჩანს, თუ ვიღაცას არ უნდა ამის დანახვა, ეს სხვა საქმეა.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ყველამ ვნახეთ კადრები, სადაც ჩანს, აქციის მონაწილეები როგორ ბანენ სახეს დაშავებულ სპეცრაზმელს. ეს ძალიან ბევრ რამეზე მეტყველებს.

– ეს მართლაც მაგარი საქციელი იყო, მაგრამ რა იქნება ხვალ? 21 აპრილს სახელმწიფო გადარჩა, მაგრამ რა იქნება მომავალში?

– მე ვერ გეტყვით, გადავრჩით თუ არა. შინაგან საქმეთა მინისტრი, რუსეთის მოქალაქე გახარია მთელ ხეობას დაჭერით ემუქრება. აქედან გამომდინარე როგორ გითხრათ, რომ გადავრჩით.

– ამ დღეებში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ სიტუაციის ესკალაციის შემთხვევაში, ჩეჩნეთის მეთაური კადიროვი რაღაცისთვის ემზადებოდა. ამასთან დაკავშირებით მისი მხრიდან არანაირი განცხადება არ გაკეთებულა. თქვენ რას ფიქრობთ კადიროვის ფაქტორზე?

– ამ ამბებში რომ კადიროვი შეიძლებოდა ჩარეულიყო, ამ ვერსიას არსებობის ძალიან სერიოზული უფლება აქვს. უამრავი ვერსია შემიძლია განვიხილო, თუ ვის და როგორ შეეძლო ამ ამბის გამოყენება. უბრალოდ, არ მინდა ამაზე ხმამაღლა და მედიით ვილაპარაკო.

– წესით, ამ ვერსიებს საქართველოს სპეცსამსახურები უნდა განიხილავდნენ.

– სად გვყავს მერე სპეცსამსახურები. სპეცსამსახურები გადაიქცნენ ბიზნესად. მაგათი სპეცსამსახურობა არ გაიშვა. აქედან გამომდინარე ხელისუფლებას კიდევ ერთხელ მოვუწოდებ, გონიერება გამოიჩინოს.

პანკისს ქეთევან ციხელაშვილს გადააყოლებენ

შორენა მარსაგიშვილი

ჰესომანიით შეპყრობილი „ქართული ოცნება“ ჰესების გამო სერიოზულ შარშია გახვეული და გამოსავალს ეძებს. პანკისში ვითარების განმუხტვის მიზნით, მმართველი პარტია ხალხისთვის ერთი ბარტყის გადაგდებას გეგმავს.

„ოცნებაში“ მიაჩნიათ, რომ მომხდარის გადასაფარად რომელიმე მინისტრმა უნდა დატოვოს თანამდებობა. საპარლამენტო უმცირესობა ეკონომიკის და შინაგან საქმეთა მინისტრების პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს. ნათია თურნავა და გიორგი გახარია ამ საქმეში თავს უმწიკვლოებად მიიჩნევენ, მათთან განშორება და სკანდალები არც „ქართულ ოცნებას“ არ აწყობს.

მმართველი პარტიის კულუარებში ამბობენ, რომ ამ ამბავს ქეთევან ციხელაშვილის პოსტი შეეწირება. მისი თანამდებობიდან გაშვების საკითხი უკვე კარგა ხანია განიხილება, ახლა თუ წავა, ეს წასვლა პანკისის თემას ზედ დააკვდება.

საქმე ისაა, რომ სისხლიანი ბზობის გათენებამდე ერთი კვირით ადრე, ქეთევან ციხელაშვილი ინფრასტრუქტურის მინისტრ მაია ცქიტიშვილთან ერთად იმყოფებოდა პანკისში.

მინისტრები ადგილობრივ მოსახლეობასაც შეხვდნენ. იქიდან დაბრუნებულებმა შეხვედრის დეტალები თავიანთ ზემდგომებს აცნობეს.

მმართველ პარტიაში ამბობენ, ცქიტიშვილმა და ციხელაშვილმა პანკისიდან ჩამოიტანეს ამბავი, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ჰესის აშენების მომხრე იყო. მათი მტკიცებით, ჰესს მხოლოდ რამდენიმე ათეული მოსახლე ეწინააღმდეგებოდა.

მათი დაბრუნებიდან ერთი კვირის თავზე ხელისუფლებამ პანკისს სამშენებლო ტექნიკა მიაყენა და ყოველი შემთხვევისთვის სპეცრაზმელებიც მიაყოლა. ეს რითაც დამთავრდა, ყველამ ნახა. ახლა ხელისუფლება გამოსავალს ეძებს. ვიღაც უნდა დაისაჯოს.

აღდგომის დღესასწაულზე ეს თემა გადაიფარება, მაგრამ ნააღდგომევს ეს თემა ისევ გააქტიურდება. შს მინისტრი პარლამენტში უნდა წარდგეს დეპუტატების წინაშე და ხელისუფლება ცოტა მომზადებული უნდა იყოს.

„ოცნების“ კულუარებში ამბობენ, რომ ციხელაშვილი მშვენივრად შეასრულებს განტევების ვაცის როლს. მას დაბრალდება, რომ ქისტების დანაბარები კარგად ვერ ჩამოიტანა და ქვეყანა კინაღამ შარში გახვია.

ამ ლოგიკით თანამდებობა მაია ცქიტიშვილმაც უნდა დატოვოს, მაგრამ ის ივანიშვილთან დაახლოებული პირია და ასე იოლად ვერ მოერევიან.

ამის გარდა მას სერიოზული გავლენები აქვს. თან იმდენი, რომ მთავარ მეცნებესთან მისვლა და ულტიმატუმის წაყენება შეუძლია.

როდესაც გადაწყდა, რომ ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკაში შემობრუნდებოდა, ცქიტიშვილი რამდენიმე მინისტრის სახელით ივანიშვილთან ავიდა და უთხრა, რომ თუ ყოფილი პრემიერი დაბრუნდებოდა, ისინი წავიდოდნენ.

ასე რომ, ცქიტიშვილი უფრო კერკეტი კაკალია. არაერთი სკანდალის მიუხედავად, მან თანამდებობა შეინარჩუნა.

ქეთევან ციხელაშვილის ბედი კი თითქმის გადაწყვეტილია. მისი თანამდებობიდან გადადგომის საკითხი ისედაც დღის წესრიგში იდგა და ახლა დიდი სიამოვნებით მოიყვანენ სისრულეში.

როგორც ამბობენ, „ოცნების“ მთავრობაში უკვე განიხილება შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პოსტზე რამდენიმე კანდიდატურა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

შოთა მალაშხია: „2020 წლამდე „ოცნება“ სულს გააფრთხობს“

„ყველა ემსახურება ერთი კაცისა და მისი გარემოცვის ინტერესებს“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში შექმნილ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენელს, ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერ შოთა მალაშხიას.

– 21 აპრილს პანკისის ხეობაში განვითარებული სისხლიანი მოვლენების შემდეგ გრძელდება გამოხმაურებები ამ თემაზე. ხელისუფლების წარმომადგენლები ამ კონტექსტში არასამთავრობო სექტორს ნაციონალებთან უნისონში ყოფნას აბრალებენ, კახა კალაძე კი მოღალატეს უწოდებს ყველას, ვინც ჰესების მშენელობის წინააღმდეგია.

– მოღალატე არის არა ჰესების მოწინააღმდეგე, არამედ ის, ვინც აცხადებს, რომ 2008 წელს რუსეთს ომი საქართველომ დაუწყო.

– ამ თემამ ბოლო დროს უკან გადაიწია.

– არავის დავიწყებია, რომ საქართველოს ამას ჯერ ივანიშვილი აბრალებდა, შემდეგ ზურაბიშვილი, რომელსაც მან პრეზიდენტობა უბოძა, ასევე კობახიძე და სხვები. მეორე ღალატი მდგომარეობს მოსახლეობის მიმართ დამოკიდებულებაში. „ქართული ოცნება“ ხალხს არაფრად აგდებს არც ერთ რეგიონში. ეს უკვე ყველამ ნახა, როგორც პანკისში, ისე სამეგრელოში, იმერეთსა და სხვა რეგიონებში.

ამ ხელისუფლების ნამდვილი სახე საპრეზიდენტო არჩევნების დროს გამოჩნდა. ივანიშვილის მმართველობა გაშიშვლდა და ნიღაბი ჩამოიხსნა. ხელისუფლება ებრძვის და მოღალატედ აცხადებს ყველას, რუსეთის გარდა. ივანიშვილისა და მისი ხელისუფლებისათვის მტერია ყველა, პანკისისა და სვანეთის მოსახლეობით დაწყებული, მშიერი ბავშვებითა და შვილმოკლული მამებით დამთავრებული. მაჩალიკაშვილი და სარალიძე პროტესტს რუსთაველზე გამოთქვამდნენ, თორემ, მათსავით დაზარალებული სხვებიც არიან. ამ ხელისუფლებისთვის პენსიონერიც ოპონენტია. 2012 წლიდან მოყოლებული, რეალურად, პენსიები კი არ გაიზარდა, არამედ, 10 დოლარით შემცირდა. თავიდანვე, „ქართული ოცნების“ პოლიტიკა ორიენტირებული იყო ერთი ჯგუფის კეთილდღეობაზე.

– ბოლოდროინდელი მოვლენები მხოლოდ ეკონომიკურ თუ ფინანსურ ინტერესს ემსახურება?

– ყველა ემსახურება ერთი კაცისა და მისი გარემოცვის ინტერესებს. ვინც ამის წინააღმდეგ ხმას ამოიღებს, მათი მტერი ხდება. მტრის ბანაკში მოხვდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები, ადგილობრივი მესამე სექტორი, მედია, მოსახლეობა.

– ბოლოდროინდელი მოვლენები პროვოკაციულ ხასიათს ატარებდა.

– ყველაფერი ფულს და კერძო სურვილებს უკავშირდება. ხომ ხედავთ, როგორ ღიზიანდებიან, როცა ჟურნალისტები ივანიშვილის ბიზნესპარტნიორზე სვამენ შეკითხვებს. ჰესების გარდა, იყო საყდრისის ვანდალური აფეთქება, ხეების ამოთხრა და გადატანა, პანორამა-თბილისის გარშემო განვითარებული მოვლენები. ერთი კაცი შოულობს ბევრ ფულს, შედარებით ნაკლებ საშოვარზე არიან გამოსული კალაძე, კობახიძე და სხვები.

ხელისუფლება აგონიაშია და გარდაცვალების წინ ამოძრავდა. ცხოვრებაში ხდება ხოლმე, როცა გარდაცვალების წინ მძიმე ავადმყოფი დიდ ენერგიას იგრძნობს. ასეა „ქართული ოცნება“.

– ფინანსური კეთილდღეობა აკეთებინებთ ასეთ გამომწვევ განცხადებებს და ეპატაჟურ ნაბიჯებს?

– ფინანსურ ინტერესს ახლავს განსაკუთრებული მდგომარეობა. ხელისუფლება აგონიაშია და გარდაცვალების წინ ამოძრავდა. ცხოვრებაში ხდება ხოლმე, როცა გარდაცვალების წინ მძიმე ავადმყოფი დიდ ენერგიას იგრძნობს. ასეა „ქართული ოცნება“. რატომღაც ეს ხალხი დარწმუნებული იყო, რომ პანკისში პოლიციის ჩაყვანით ყველაფერს მოაგვარებდა, მაგრამ ვერაფერს თავი ვერ მოაბა.

პანკისი, ისევე, როგორც საქართველოს ნებისმიერი სხვა რეგიონი, ხელისუფლებას თავისას არ გააყვანინებს. ხალხმა თავისი სიტყვა საპრეზიდენტო არჩევნების დროს თქვა. გაყალბება რომ არ ყოფილიყო, ხელისუფლება წააგებდა ამ არჩევნებს.

უკრაინაში მეორე ტურში დაახლოებით იმდენივე ადამიანი მივიდა, რამდენიც პირველ ტურში. ჩვენთან მეორე ტურში მოვიდა 20%-ით მეტი, ვიდრე პირველ ტურში. ეს მსოფლიომ ნახა. ჩვენ, გაერთიანებულმა ოპოზიციამ, ივანიშვილს და მის კანდიდატს დიდი პრობლემები შევუქმენით. მას ზურაბიშვილის გაპრეზიდენტება ფინანსურად და პოლიტიკურად ძვირი დაუჯდა. კაცმა არ იცის, რისთვის სჭირდებოდა ასეთი ხარჯი. ოპოზიციამ მოთმინება გამოვიჩინეთ. ივანიშვილს არ მივეცით საშუალება, ჩვენთვის დესტრუქციული ეძახა. „ქართული ოცნების“ მმართველობა საპარლამენტო არჩევნებში დამთავრდება.

– „ოცნება“ მთავრობაში ცვლილებებს არ გამორიცხავს. ოპოზიციის ნაწილი გახარიასა და თურნავას გადაყენებას მოითხოვს.

– თევზი თავიდან ყარს. რაც უნდა კარგი მინისტრი მოიყვანონ, ის ვერ გააკეთილშობილებს ივანიშვილის სისტემას. ივანიშვილის მთავრობის კრიტიკას მხარს ვუჭერ. რომელიმე მინისტრის გადაყენების მოწინააღმდეგე ვერ ვიქნები, მაგრამ მთავარი ხელისუფლების შეცვლაა.

– ეს ვადამდელი არჩევნებით მოხერხდება?

– ვადამდელი არჩევნები „ქართულ ოცნებას“ აწყობს. ეს მისი მხრიდან გარკვეული ტრიუკი იქნება. 2020 წლამდე „ოცნება“ სულს გააფრთხობს. ამიტომ ცდილობს თავის ნაწილების გადარჩენას. მე ამ ძალის გადარჩენა ნამდვილად არ მინდა.

სოსო ცისკარიშვილი: „თავისუფლება ბიძინას!“

„ქართული ოცნება“ ხელოვნურ სუნთქვაზეა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი პასუხობს.

– ბატონო სოსო, რას ფიქრობთ შექმნილ ვითარებაზე?

– კარგს არაფერს ვფიქრობ. ახლო მომავალში წარმოუდგენელიც კი არის რაიმე სახის სიმშვიდე. ყველაფერი მიუღებელი, რაც ბლომად არის დღევანდელ საქართველოში, იწყებოდა მაშინ, როდესაც ჩვენმა საზოგადოებამ მეოცნებენი ავირჩიეთ წამყვან პოლიტიკურ ძალად. გამოხდა ჟამი და მივხვდით, რომ მოგვატყუეს. დღეს რეალობა გვკარნახობს, რომ „ქართული ოცნება“ გადაიქცა რუსულ ოცნებად.

– სხვა ექსპერტებისგან განსხვავებით, თქვენ ერთ-ერთი პირველი იყავით, ვინც თავიდანვე დაიწყო „ოცნების“ კრიტიკა.

– როცა დრო მოვა და ამ თემაზე საუბარს დავიწყებ, მაშინ მიხვდებით, რატომ აუკრძალა მედიას ჩვენმა კადრებთუხუცესმა ჩემი მედიაში გამოჩენა უკვე 4 წელია. სწორედ ამ დროიდან აღმოვჩნდი სახელმწიფოსთვის საფრთხის შემცველი პირი. აღმოჩნდა, იმაზე მეტი ვიცოდი, ვიდრე უნდა მცოდნოდა.

– ორიოდე დღის წინაც მწვავედ დადგა პანკისის თემა. ამ შემთხვევაშიც შეეშალა ხელისუფლებას?

– საერთოდ ვინ მოიფიქრა იქ ასეთი ოპერაციის განხორციელება? თუ არ იყო ეს მიზანმიმართული პროვოკაცია?! მომწამვლელი გაზის და რეზინის ტყვიების გარეშე არ შეიძლებოდა მოლაპარაკება საკუთარ მოსახლეობასთან?!

– ბატონო სოსო, წინ 2020 წლის არჩევნებია, „ოცნება“ შეცდომას შეცდომაზე უშვებს და თან გეგმავს, რომ ეს არჩევნები მოიგოს. როგორ აპირებს ამას?

– სწორედ ეგ არის საინტერესო, რა გეგმები აქვს „ოცნებას“ და რას გვიმზადებს.

– გააქტიურდა ოპოზიციაც. დავით მაღრაძის „დაიცავი საქართველო“ აქტიურობს. საუბარია, რომ ლევან ვასაძეც შემოდის პოლიტიკაში. ვის რა შანსი აქვს და ვის თამაშს თამაშობს?

– ეს ადამიანები სხვადასხვა სივრცეს მიაკითხავენ. ვინ ვის თამაშს თამაშობს, ეს გამოჩნდება მალე, ამ ქვეყანაში ხომ არაფერი იმალება. არ მაქვს იმის მოლოდინი, რომ თქვენ მიერ ჩამოთვლილი პირები შეძლებენ, რაიმე განსხვავებული და პოზიტიური შესთავაზონ ჩვენს საზოგადოებას. მე კარგად ვიცნობ ამ ბატონებს, ვნახოთ, ჯერ რას გააკეთებენ და მერე შევაფასოთ.

ჩვენთან ყველაფერი გამჭვირვალეა, თუ ვინმეს უნდა სიკეთე ამ ქვეყნისათვის, ეს ძალიან მარტივად მისაგნებია, რა უნდა გააკეთოს და რა არ უნდა გააკეთოს. სამწუხაროდ, უკანასკნელი თვეების განმავლობაში ჩვენ ვაკვირდებით პროცესებს, რომლებიც გვაძლევს საფუძველს, ყოფილ „ქართულ ოცნებას“ მივაკრათ იარლიყი რუსული ოცნების. სიამოვნებით შევინახავ არგუმენტებს იმ დროისთვის, როდესაც საჯარო გახდება ის პროცესები, რომლებიც მიუღებელია ჩვენი ქვეყნისთვის.

– ვადამდელ არჩევნებზე საუბრობენ აქტიურად. „ოცნება“ ამისთვის ემზადება?

– შეიძლება ბევრმა არ გაიზიაროს ჩემი მიდგომა, მაგრამ „ოცნება“ ნამდვილად ემზადება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისთვის. წელს რომ ჩატარდეს საპარლამენტო არჩევნები, მივიღებთ ზუსტად იმას, რაც გვქონდა საპრეზიდენტო არჩევნების დროს. რაც მიუღებელი იყო ჩვენი საზოგადოების ჯანსაღი ნაწილისათვის და ჩვენი ევროპელი და ამერიკელი მეგობრებისათვის, „ოცნებამ“ არაფერი გაითვალისწინა, პირიქით. თუ ვადამდელი არჩევნების დანიშვნა შეძლო „ოცნებამ“, სწორედ ასეთ არჩევნებს გვაჩუქებს.

– აწყობს „ოცნებას“ ვადამდელი არჩევნები?

– დიახ, ძალიან აწყობს. იმიტომ, რომ თუ წელსვე არ შეძლეს მათ ხელოვნურ სუნთქვაზე მყოფი „ოცნებისთვის“ პროცესის გახანგრძლივება, გაისად ეს აღარ გამოუვათ. გაისად ხელოვნური სუნთქვის აპარატიც კი ძნელად იქნება მოძიებული.

– ოპოზიციის განწყობა როგორია ამ საკითხთან დაკავშირებით?

– მე არ ვუსურვებდი ოპოზიციას, სულმოუთქმელად ეძგეროს ასეთ არჩევნებს, რადგან დიდი ალბათობით მივიღებთ ზუსტად ისეთივე არჩევნებს, რომელიც უკვე გავიარეთ ჩვენ საპრეზიდენტო არჩევნებისას.

– 2020-ში ექნება შანსი ოპოზიციას და ე.წ. მესამე ძალას, რომლის შექმნასაც ასე ცდილობენ?

– უფრო მეტი, ვიდრე 2019 წელს დაგეგმილ ვადამდელ არჩევნებზე. ოპოზიციაში ჯერ კიდევ არ არიან ჩამოყალიბებულები. მათ დრო სჭირდებათ. ჩვენ ვსაუბრობთ ხოლმე ერთიანობაზე, მაგრამ ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ოპოზიციას აქვს უნარი, ერთი საერთო პირი წარადგინოს ამა თუ იმ თანამდებობაზე.

ოპოზიციაში ჯერ კიდევ არ არიან ჩამოყალიბებულები. მათ დრო სჭირდებათ. ჩვენ ვსაუბრობთ ხოლმე ერთიანობაზე, მაგრამ ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ოპოზიციას აქვს უნარი, ერთი საერთო პირი წარადგინოს ამა თუ იმ თანამდებობაზე.

– ოპოზიციას ბევრჯერ ჰქონია მცდელობა გაერთიანების, თუმცა, უშედეგოდ.

– დიახ, ასეა. თუ წარმატება უნდათ, ეს უნდა მოახერხონ. ამის ნაბიჯებს ჩვენ უკვე ვხედავთ, მაგრამ რა მოხდება არჩევნების წინ, არავინ იცის. გვიმტკიცებენ, ძალა ერთობაშიაო, მაგრამ ეს ძალა კი არ უნდა ერთობოდეს, თავიდანვე უნდა იყოს ქმედითუნარიანი და უნდა შეძლოს სიახლე შემოიტანოს ქართულ პოლიტიკაში.

თუ ოდნავ მაინც პატიოსანი არჩევნები ჩატარდა, მეოცნებები ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნებიან წარმატებულნი. თუმცა დიდი ეჭვი მაქვს, პატიოსანი არჩევნები ვიხილოთ. დაიწყება ისევ ფულების მოგროვება, ისევ ოპოზიციის ნგრევა, ლანძღვა და გინება.

როგორი იქნება მეოცნებეთა პერსპექტივა, ეს ზუსტად იქნება შეფასებული მაშინ, როდესაც დავრწმუნდებით, რა ნაბიჯებს გადადგამს არსებული ხელისუფლება და რა გზას აირჩევს ის.

– ფაქტია, რომ „ოცნება“ მარტივად დათმობას არ აპირებს, რამდენად დაძაბულ და კრიზისულ სიტუაციას ელით?

– მე ვისურვებდი, რომ ზუსტად შევაფასოთ არსებული რეალობა და თუ გვინდა, ქვეყანაში გვქონდეს სიმშვიდე, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა ვშვათ საზოგადოებრივი მოძრაობა „თავისუფლება ბიძინას“!

– ანუ?

– მე, გულწრფელად რომ გითხრათ, კარგა ხანია, დავრწმუნდი, რომ ბატონი ბიძინა კომფორტულად სულაც არ გრძნობს თავს ამ სიტუაციაში, უნდა თავისუფლება, მაგრამ...

– ანუ არ არის საკუთარ გადაწყვეტილებებში თავისუფალი?

– დიახ! მილიარდერები თავისუფალნი არ არიან, მით უმეტეს, საბჭოთა კავშირის დროინდელი მილიარდერები.

ვახტანგ ძაბირაძე: „ივანიშვილი ცდილობს, პოლიტიკური პროცესები თვითდინებაზე მიუშვას“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე და ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკის სავარაუდო მონახაზზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენ ამბობთ, რომ შეიძლება ბიძინა ივანიშვილი ძალაუფლების გადაბარებისთვის ემზადება. რას გულისხმობთ? 2020 წლის არჩევნების შემდეგ შესაძლო კოალიციური მთავრობის შექმნას?

– კოალიციური მთავრობა ნამდვილად კარგი იქნებოდა. მაგრამ უნდა დავაზუსტოთ, რომელ კოალიციურ მთავრობაზეა საუბარი. 2012 წლის შემდეგ ჩვენ გვქონდა კოალიციური მთავრობა. პარტია „ქართულ ოცნებასთან“ ერთად მთავრობაში, მინისტრთა კაბინეტში იყვნენ რესპუბლიკელები, იგივე თინა ხიდაშელი, პაატა ზაქარეიშვილი. ასევე, „თავისუფალი დემოკრატები“, ირაკლი ალასანია, მაია ფანჯიკიძე, მაგრამ ეს არ იყო ტრადიციული კოალიციური მთავრობა. ტრადიციული კოალიციური მთავრობა არჩევნების შედეგად იქმნება, როდესაც არც ერთ პარტიას არ ჰყოფნის მანდატი არა აქვს 76 მანდატი, რომ მთავრობა დააკომპლექტოს და ამიტომ პარლამენტში შესულ პარტიებთან მოლაპარაკებები ხდება საჭირო, რათა მთავრობა დაკომპლექტდეს. ეს არის ტრადიციული კოალიციური მთავრობა.

კოალიციური მთავრობა კიდევ იმით არის კარგი, რომ მერე ასე ადვილი აღარ ხდება მინისტრების სახლში გაშვება. გვახსოვს, წინა შემთხვევაში როგორ მოხდა კოალიციაში შემავალი პარტიების მინისტრების გაშვება.

– ხშირად კოალიციური მთავრობა არასტაბილურია, ერთ მინისტრზე თუ ვერ მოხდა შეთანხმება, შეიძლება ხელახალი არჩევნები დაინიშნოს. ჩვენთან რამდენად გაამართლებს?

– დიახ. ხშირია შემთხვევები, მაგალითად, ევროპაში ვადამდელი არჩევნების. თუმცა, რეალური კოალიციური მთავრობა მაინც დემოკრატიის მთავარი მონაპოვარია. მისი არსი სწორედ ამაშია. რამდენიმე პარტიისგან შემდგარი მთავრობა ვალდებულია ერთმანეთის ინტერესები გაითვალისწინონ, რასაკვირველია, პირველ რიგში ხალხის ინტერესები, იმ ამომრჩევლის, რომელსაც ისინი წარმოადგენენ. ამაშია მთელი მისი ხიბლი.

– ბატონო ვახტანგ, რამდენად შესაძლებელია ხელოვნურად მოხდეს ასეთი პარტიების პარლამენტში შეყვანა და შემდეგ უკვე მათთან მთავრობის შექმნა, რადგან სატელიტ პარტიასთან ბევრად უფრო კომფორტული იქნება თანამშრომლობა?

– როგორ არ შეიძლება, ეს სერიოზული საფრთხეა. რასაკვირველია, კომფორტული იქნება ასეთ სატელიტ პარტიებთან თანამშრომლობა, ამაში ორი აზრი არ არის, მაგრამ რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, რომ არჩევნები ყალბდება, რომ ამომრჩევლის მოსყიდვა ხდება და ნამდვილად ხდება, ეს ბოლო არჩევნებზეც კარგად ვნახეთ, მაგრამ განწყობები მეტ-ნაკლებად მაინც არჩევნების შედეგებთან ახლოს დგას.

მიუხედავად იმისა, რომ არ დაგიმალავთ მე მომხრე ვარ კოალიციური მთავრობის, მე მაინც ეჭვი მეპარება, რომ 2020 წლის არჩევნების შედეგად ჩვენ კოალიციური მთავრობა მივიღოთ.

– რატომ?

– მე მაინც მგონია, რომ ივანიშვილი ემზადება არა კოალიციური მთავრობისთვის, არამედ ნელ-ნელა ცდილობს საერთოდ ჩამოშორდეს პოლიტიკას.

– გასაგებია, რომ პოლიტიკა მისთვის ტვირთია, ამაზე მას არაერთხელ უსაუბრია, მაგრამ თუ ასეა, მაშინ ვის უნდა გადააბაროს ძალაუფლება?

– პროცესს მიუშვებს თვითდინებაზე და როგორც იქნება, ისე იქნება.

– ამ შემთხვევაში რამდენად დაუშვებს ნაციონალური მოძრაობის მობრუნებას?

– ეს ძალიან საინტერესო საკითხია, მე მაინც მგონია, რომ ამ სცენარის მიხედვით ის თვითდინებას მიუყვება და ვისაც აირჩევს ხალხი, ის იქნება. ყველა ნაბიჯი, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ გადადგა, მის, ხელისუფლების საწინააღმდეგოდ მუშაობს. ჯერჯერობით პოლიტიკური პროცესი მისთვის ცუდადა, უარყოფით კონტექსტში მიდის.

არ დაგიმალავთ, მე მომხრე ვარ კოალიციური მთავრობის, მაგრამ ეჭვი მეპარება, რომ 2020 წლის არჩევნების შედეგად ასეთ მთავრობას მივიღებთ

თუმცა, მეორე ვარიანტიც შეიძლება განიხილებოდეს. ამ სცენარის მიხედვით: შესაძლოა რაღაც გარკვეული პროცესი მიდის, რომლის შესახებაც ჩვენ არ ვიცით. მე არ გამოვრიცხავ, რომ ეს პროცესი უკავშირდებოდეს სრულიად ახალი ძალით და განვითარების ახალი გეგმით, ხედვით ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას.

– რას გულისხმობთ, ხომ დაბრუნდა?

– მე ვგულისხმობ პრემიერის რანგში დაბრუნებას მთავრობის სრულიად ახალ შემადგენლობასთან ერთად. ამით მან ხალხში სიახლის მოლოდინი უნდა გააჩინოს. ახალ გუნდთან ერთად ახალი შემართებით, პიარის ეს ელემენტი უნდა შემოიტანოს.

თუ ამას აპირებს, მაშინ ამას ის სწორედ 2020 წლის არჩევნების წინ გააკეთებს, მაგრამ თუ ეს სცენარი უნდა აამუშაოს, მაშინ მე მას ვეტყოდი, რომ ძალიან ცოტა დრო აქვს, უნდა იჩქაროს, რომ ეს დამაჯერებელი აღმოჩნდეს ამომრჩევლისთვის, ხალხისთვის. უკვე მხოლოდ სიტყვა აღარ იქნება საკმარისი, შედეგიც უნდა დადოს, ამისთვის კი ძალიან ცოტა დრო რჩება.

თუ ეს სცენარი განიხილება, მაშინ ეს გეგმა გაზაფხულის შემდეგ უნდა ამოქმედდეს. გაზაფხულის შემდეგ უნდა გამოჩნდეს ივანიშვილი ამ ახალი შეთავაზებით საზოგადოებისადმი. თუ არადა, მაშინ ის მართლაც აპირებს პოლიტიკიდან გასვლას, ამჯერად უკვე რეალურად. ამ შემთხვევაში ის პროცესებს თვითდინებაზე მიუშვებს ამ ფორმულით – როგორც იქნება, ისე იქნება და ამ ტვირთისგან მართლა განთავისუფლდება.

უჩა ნანუაშვილი: „ხელისუფლებამ პანკისის მოსახლეობის დაშინება ცადა“

იავო ნაცვლიშვილი

პანკისის სპეცოპერაციიდან რამდენიმე დღე გავიდა, როდესაც ადგილობრივმა მოსახლეობამ ჰესის აშენება რადიკალური ფორმებით გააპროტესტა და რასაც პოლიციასთან შეტაკება მოჰყვა. საუბარია ხელისუფლების მხრიდან რამდენიმე მნიშვნელოვან შეცდომაზე, რამაც ვითარების ესკალაცია გამოიწვია. გამოიკვეთა შსს-ს, ეკონომიკის სამინისტროსა და სუს-ის პასუხისმგებლობაც, მაგრამ არ წყდება დისკუსია პასუხისმგებლობის მქონე მთავარ უწყებაზე.

ვის ეკისრება მთავარი პასუხისმგებლობა, რაში მდგომარეობს შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალი და რა უნდა მოხდეს იმისთვის, რომ პოლიციის პრესტიჟს ჩრდილი არ მიადგეს? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ყოფილი სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი საუბრობს:

– პანკისის მოვლენებზე გარკვეული ანალიზის გაკეთება უკვე შესაძლებელია. იკვეთება ეკონომიკის მინისტრის, შსს-ს და სუს-ის პასუხისმგებლობა. თქვენ პირადად უმთავრესად ვის პასუხისმგებლობას გამოკვეთდით?

– აქ ასევე არის უწყებებს შორის კორელაცია. რისკი უნდა იყოს შეფასებული ამ სპეცოპერაციის დაგეგმვისას. აქ მთავარი შსს იყო, მაგრამ, ჩემი აზრით, ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იყო როგორც ეკონომიკის სამინისტროს, ისე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის პასუხისმგებლობაც. დავინახე, რომ, ფაქტობრივად, უწყებებს შორის არანაირი კოორდინაცია არ არსებობს. არ იყო გათვლილი ის რისკები, რაც შესაძლოა მას მოჰყოლოდა. სამწუხაროდ, გვაქვს ამის მაგალითები წარსულშიც. რამდენი სპეცოპერაცია ჩატარდა ადრე.

ასევე იყო აქცია 2017 წლის თებერვალში ბათუმში, სადაც ასევე კოორდინაციის ნაკლებობა არსებობდა. დავინახეთ, როგორ ქაოსურად ვითარდებოდა მოვლენები. მაშინაც ძალიან მძიმე პროცესი იყო და მაშინაც გამოჩნდა, რომ რეალურად არ არსებობდა კოორდინაცია უწყებებს შორის. ის საფრთხეები, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ამა თუ იმ მეთოდის გამოყენებამ, სათანადოდ არ იყო შეფასებული. ამ პრობლემა ახლაც იჩინა თავი პანკისის მოვლენების განვითარების კვალდაკვალ.

– კოორდინაციის ნაკლებობას რას უკავშირებთ?

– სანამ შსს რეალურად დაიწყებს რაიმე ტიპის სპეცოპერაციას, მით უმეტეს იმ ფონზე, რომელიც პანკისის ხეობაშია შექმნილი. მოგეხსენებათ დაძაბულობა იყო. მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც 2017 წლის ბოლოს სპეცოპერაცია ჩატარდა და რეალური შედეგი დღემდე არ არის დამდგარი და მოსახლეობა ითხოვს კონკრეტულად ამ ფაქტზე გამოძიებას. მაჩალიკაშვილის თემა მაქვს მხედველობაში. როდესაც ეს საკითხები მოგვარებული არ არის და ვითარება დაძაბულია, რა თქმა უნდა, იქ დამატებით პოლიციური ძალების შეყვანა, ნებისმიერ შემთხვევაში შეცდომაა.

მით უმეტეს იმ ვითარებაში, როდესაც საუბარია იმაზე, რომ გადაწყვეტილება არ უნდა ყოფილიყო მიღებული, სანამ არ იქნებოდა დასრულებული სასამართლო პროცესი ჰესებთან დაკავშირებით. შსს-ს ყოფნა იქ რეალურად ზედმეტი და ნაჩქარევი იყო. სახელმწიფო შესაბამის გადაწყვეტილებას უნდა დალოდებოდა. ეს პროცედურები არ იყო დასრულებული, აქედან გამომდინარე შსს-ს გადაწყვეტილება ნაჩქარევი იყო. შესაბამისად, ეკონომიკის სამინისტროს პასუხისმგებლობაც ის არის, რომ ის უნდა დალოდებოდა პროცესს, რაც სასამართლოში მიმდინარეობს და ჩვენ ინფორმირებულები ვართ ამის შესახებ. რეალურად მოხდა პარალელური პროცესის დაჩქარება. ფაქტობრივად, მოსახლეობის დაშინების მცდელობას ჰქონდა ადგილი და ძალის გამოყენება ამ მიზნით მოხდა.

რეალურად ეფექტიან შედეგს ვერც მიიღებდა და ამაზე უნდა ეფიქრათ შესაბამისი თანამდებობის პირებს. თუ ეს არ ჰქონდათ გათვლილი, მაშინ სხვა პრობლემაზე მიანიშნებს.

ასევე პრობლემაა ისიც, რომ არასწორად იყო დაგეგმილი. მხედველობაში მაქვს სხვა უწყების მიერ წარმოებული სპეცოპერაცია 2 წლის წინ. მაშინაც იყო შეცდომები, რამაც ადამიანის გარდაცვალებაც გამოიწვია. დღემდე არ არის ეს საქმე გამოძიებული.

– ამ ვითარებაში გამოსავალი რაში მდგომარეობს? ხელისუფლებას საკმაოდ რთული არჩევანი აქვს – როგორც შს მინისტრმა და პრემიერმა გვითხრეს, ყველა სამართალდამრღვევი უნდა დაისაჯოს, რაც ასევე ვითარების დაძაბვას გამოიწვევს, ან თვალი უნდა დახუჭონ სამართალდარღვევაზე, რაც სხვა პრობლემებს წარმოქმნის.

– კანონი უნდა აღსრულდეს, მაგრამ კანონი უნდა აღსრულდეს თუნდაც იმ სპეცოპერაციასთან დაკავშირებით რაც ვახსენე. ის დღემდე არ არის ადეკვატურად და ობიექტურად გამოძიებული. სად იყო ძალა გამოყენებული, იგივე მაჩალიკაშვილთან მიმართებაში. როდესაც ეს არ არის გამოძიებული და არც რაიმე სპეციალური საგამოძიებო კომისია შექმნილა, რომ ნათელი მოჰფენოდა ამ საქმეს... მაშინ ესეც უნდა იყოს გამოძიებული. როდესაც სამართალსა და კანონის უზენაესობაზე ვსაუბრობთ, კანონის უზენაესობა ასე ცალმხრივი არ არის. მაშინ ამაზეც უნდა იყოს გამოძიებული, რომელიც 1.5 წლით ადრე მოხდა. თუ ეს არ მოხდება და შერჩევით იქნება გამოყენებული კანონი და სამართალი, მაშინ ეს მეტ პრობლემას შექმნის და კიდევ უფრო დაიძაბება მდგომარეობა.

მით უმეტეს იმ ვითარებაში, როცა ვსაუბრობთ, რომ არასწორად იყო დაგეგმილი და ვსვამთ კითხვას, რატომ იყო აუცილებელი სპეცოპერაციის ჩატარება. ამ ვითარებაში მაშინ იმ ადამიანების პასუხისმგებლობაც უნდა დადგეს, ვინც გადააჭარბა უფლებამოსილებას. რეალურად ვინ გაგზავნა საპოლიციო რაზმი, ან მოითხოვდა გაგზავნას, მაშინ როცა, შეიძლებოდა მოცდა, სანამ პროცესი არ დასრულდებოდა. ამ საკითხის ცალმხრივად განხილვა ნამდვილად არ იქნება სწორი. ყველა ფაქტორი გაანალიზებული უნდა იყო.

– ანუ, იქით მიგყავთ საუბარი, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი უნდა გადადგეს?

– მე ვფიქრობ, რომ პასუხისმგებლობა უნდა აიღოს არა მხოლოდ შს მინისტრმა, ასევე ეკონომიკის სამინისტრომაც, რომელმაც ასეთი გადაწყვეტილება მიიღო და მოითხოვა სპეცოპერაცია. რა თქმა უნდა, მისი პასუხისმგებლობაც არის. ასევე, რა თქმა უნდა, შსს-მ. მათ უნდა სცოდნოდათ, რა შეიძლება გამოეწვია ტექნიკის გამოჩენას. ეს არის ძალიან სერიოზული პრობლემა და თუ ხელისუფლებას კარგად არ აქვს გაცნობიერებული, მაშინ პასუხისმგებლობა უნდა დადგეს. სჯობს, პროფესიონალებს ჩაბარდეს ეს საკითხი.

ჩემი აზრით, ძალიან სერიოზულ კონფლიქტს გადავურჩით. სხვათა შორის, ასე იწყებოდა კონფლიქტები აფხაზეთშიც, ცხინვალშიც. სამწუხაროდ, ვერ ვხედავ ადეკვატურ ნაბიჯებს ხელისუფლების მხრიდან. საბოლოოდ ვითარების განმუხტვა კი მოხდა, მაგრამ დავინახე, რომ ხელისუფლება რეალურად დაბნეული იყო და ვერაფერს ვერ ახერხებდა. სად იყო პრემიერ-მინისტრი, სად იყო პარლამენტის თავმჯდომარე?... ამ ღონისძიებამ ძალიან ბევრი პრობლემა გამოაჩინა ბევრი მიმართულებით. გამოჩნდა, რომ ქვეყანა დაუცველია და მას ვერ მართავს ხელისუფლება ისე, რომ ეს ყველაფერი დემოკრატიულობის ჩარჩოებში იყოს ჩასმული.

– კიდევ ერთი მთავარი საკითხი პოლიციის პრესტიჟის საკითხს უკავშირდება. ამ საკითხს როგორ უყურებთ, რომ პოლიციის პრესტიჟს რაღაცნაირად ჩრდილი არ მიადგეს ასეთი გადაწყვეტილებებით?

– სამწუხაროდ, ესეც არის. როდესაც ხდება პოლიციელებზე თავდასხმა, რა თქმა უნდა, ეს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში მიუღებელია და ეს არ უნდა იყოს დაშვებული. მე ამიტომ ვამბობ, რომ ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს იმგვარად, რომ არავინ გაექცეს პასუხისმგებლობას. ყველა კანონდამრღვევმა უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობა, მაგრამ ამავე დროს სახელმწიფომ უნდა გამოასწოროს ის მძიმე შედეგები, რომელიც შეიქმნა ამ მძიმე სპეცოპერაციის შემდეგ.

ფაქტობრივად ეს იყო დარტყმა პოლიციაზეც. ეს არ უნდა აისახოს პოლიციის იმიჯზე. ჩვენმა პოლიციამაც უნდა იგრძნოს თავი, რომ ის დაცულია. ამიტომ, ეს საკითხი ძალიან ფართოდ შესწავლისა და შეფასების საგანი უნდა გახდეს. არა ისე, რაც დღეს ჩანს, როდესაც ცდილობენ დაივიწყონ და ერთი მიმართულებით წავიდეს გამოძიება. აუცილებელია სათანადო შეფასება და გაანალიზება იმ მოვლენების, რომელიც პანკისში მოხდა.

– როგორ ფიქრობთ, საპარლამენტო კომისიის შექმნის აუცილებლობაც ხომ არ დადგება?

– მე არ გამოვრიცხავ, რომ ერთხელ მაინც შეიქმნას პრეცედენტი. საუბარია მხარეზე, სადაც არაერთი სპეცოპერაცია ყოფილა წლების განმავლობაში. იქნება შევარდნაძის ხელისუფლება, სააკაშვილის ხელისუფლება თუ დღევანდელი ხელისუფლება. სამწუხაროდ, ყველა დროს იყო არაერთი ინციდენტი. გვახსოვს იგივე ლაფანყურის სპეცოპერაცია, რომელსაც არაერთი ადამიანი შეეწირა. დღემდე ეს საქმეები მიჩუმათებულია და ბოლომდე არ არის მისული. თაროებზეა შემოდებული გამოძიება. ერთხელ მაინც ხომ უნდა შეიქმნას პრეცედენტი?! წლების განმავლობაში ვცდილობდით, რომ ნათელი მოჰფენოდა ამ ყოველივეს და საპარლამენტო კომისია შექმნილიყო, მაგრამ სამწუხაროდ ეს არ მოხდა.

– წინა ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, ლაფანყურთან შედარებაც კი არ შეიძლებაო.

– ფაქტია, რომ დარღვევებს ჰქონდა ადგილი. ადამიანთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას შეექმნა საფრთხე. იყო დარღვევები, აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია, ეს ყველაფერი იყოს სათანადოდ შესწავლილი და გაანალიზებული. მით უმეტეს, რომ არც ერთ ფაქტზე არ მომხდარა აქამდე რეაგირება და რეალური გამოძიება არ ჩატარებულა. არც მაჩალიკაშვილის საქმეზე, არც მანამდე არსებულ ფაქტებზე. დაუსჯელობის სინდრომია, რომელიც წლების განმავლობაში არსებობს ხეობაში მიმდინარე სხვადასხვა სახის საქმეებთან დაკავშირებით, რაც უნდა დასრულდეს. ვინმემ უნდა იგრძნოს, რომ კანონი უზენაესია. სახელმწიფო უნდა იყოს ამის დაცვის გარანტი. იმ თვალსაზრისით, რომ ვიგრძნოთ, სახელმწიფო არის დაინტერესებული კანონის დაცვით და მან უნდა დაიცვას თითოეული ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

დავით ლორთქიფანიძე: „ხელისუფლებაში ცვლილებები არ იგეგმება“

გულიკო ბალაძე

მე-8 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი, „ქართული ოცნების“ წევრი დავით ლორთქიფანიძე „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

– ბატონო დავით, არსებულ სიტუაციას როგორ აფასებთ? დღეს არაერთი ექსპერტი აცხადებს, რომ ქვეყანაში სახელისუფლებო კრიზისია. საპარლამენტო კრიზისს ახლა სამთავრობო კრიზისიც დაემატა. არსებულ ვითარებას თქვენ კრიზისად აღიქვამთ?

– პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ ყოველივე გაზვიადებულია.

– რატომ გგონიათ გაზვიადებული?

– იმიტომ, რომ რეალურად, კრიზისის საფუძველი ხელისუფლებაში არ შეინიშნება. სამაგიეროდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, განსაკუთრებით ელექტრონული მედია, ძალიან აქტიურობს. ყოველდღიურად ცდილობენ საზოგადოება მეტად დაძაბონ. გადასული არიან საზოგადოებისთვის ნეგატიური ინფორმაციის მიწოდებაზე. ამით ცდილობენ, შექმნან ისეთი აზრი, თითქოს ხელისუფლებაში არის კრიზისი და დღეს-ხვალ ხელისუფლება ჩამოიშლება, რასაც, დამიჯერეთ, არანაირი საფუძველი არ აქვს.

– გარკვეული კრიზისის ნიშნები იყო, როცა პარლამენტის უმრავლესობა დეპუტატთა ჯგუფმა დატოვა, ახლა მთავრობაში დაიწყო ცვლილებები, ეკონომიკის მინისტრი შეიცვალა. ამიტომ მთლად მედიისთვის გადაბრალება რამდენად სწორია?

– ბეჭდვით მედიაზე ამას არ ვამბობ, გარკვეულ ტელევიზიებს ვგულისხმობ. ერთი მინისტრის ცვლილება, არა მგონია, კრიზისის ნიშანი იყოს. მით უმეტეს, როცა მინისტრად მისი თანაგუნდელი ინიშნება. ეს არ არის კლასიკური გაგებით კრიზისი.

– სხვა მინისტრების ცვლილებები არ იგეგმება?

– ამის თაობაზე ინფორმაცია რომ მქონდეს, მიგანიშნებდით მაინც. ეს თვითონ პრემიერის კონსტიტუციური უფლებაა. კანონმდებლობით მას აქვს ცვლილებების განხორციელების უფლება, მაგრამ არანაირი წინაპირობა და ინფორმაცია მოსალოდნელი ცვლილებების თაობაზე დღეს არ არის. მომავალში არავინ არაფრისაგან დაზღვეული არ არის. თუ მოხდება ცვლილებები, ეს ბუნებრივიც იქნება, რომ ახალი მინისტრი მოვიდეს და ძველი ჩაანაცვლოს.

– ისე, ბატონო დავით, ხმები დადის, რომ უახლოეს პერიოდში შეიძლება პრემიერ-მინისტრი და სხვა მინისტრებიც გადადგნენ. თქვენ ხომ არ გვიმალავთ მოსალოდნელ ცვლილებებზე ინფორმაციას?

– არა, გულწრფელად შემიძლია გითხრათ, რომ ნამდვილად არ არის ასე. თუ მინისტრთა კაბინეტის რომელიმე წევრი თვითონ მოინდომებს წასვლას, მისი საქმეა, მაგრამ როგორც ასეთი, წინაპირობა არსებობდეს და ვითარება იყოს მომწიფებული და ვინმეს გადადგომა იყოს მოსალოდნელი, გუნდის შიგნით ასეთი სიტუაცია არ არის.

მუდმივი დაძაბულობა ხელისუფლების ოპონენტებს აწყობთ, რომლებიც დაძაბულობაში პოლიტიკურ სარგებელს იპოვიან.

– დაძაბულობაში პოლიტიკური სარგებლის მიღების საშუალებას ოპონენტებს ცოტა ხელისუფლებაც ხომ არ აძლევს?

– იმის გამო, რომ მმართველი გუნდიდან რამდენიმე დეპუტატი წამოვიდა (პარლამენტისა და საკრებულოს დონეზე), დღეს უშვებენ გარკვეულ ნარატივს, თითქოს ჟურნალისტს, უმრავლესობის შიგნიდან, გარკვეული წყაროს საშუალებით, აქვს რაღაც ინფორმაცია. ამით ადამიანების ნაწილს უჩენენ განცდას, თითქოს ეს ადამიანები მმართველი გუნდიდან კი წამოვიდნენ, მაგრამ შეიძლება ჰქონდეთ კავშირები და ინფორმაცია და იმ ინფორმაციის არსებობა უსაფუძვლო არ იყოს.

– ასე არ არის?

– არა. მგონი, ამ თემებით მანიპულირება ხდება, რომ ადამიანებს გაუჩინონ განცდა, რადგან ასე ითქვა, შეიძლება მართალიაო. ამ მოცემულობას მასმედია კარგად იყენებს. მით უმეტეს, რომ ადამიანი სხვადასხვა სახის ინფორმაციას კითხულობს, მას არ აქვს ინფორმაციის გადამოწმების საშუალება და წყაროსაც არ უსახელებენ.

– ამბობთ, სიტუაცია ხელს უწყობს ხელისუფლების საწინააღმდეგოდ ინფორმაციის გავრცელებასო. როგორ უყურებთ პანკისში მიმდინარე პროცესს? მე მგონი, კარგი საყურებელი არ იყო.

– იმ დღეს იყო დიდი მართლმადიდებლური დღესასწაული. მე მხოლოდ რამდენიმე წუთით მოვახერხე ტაძარში მისვლა და მას შემდეგ პანკისში მიმდინარე პროცესს სულ ტელევიზიის პირდაპირი ეთერით თვალყურს ვადევნებდი. შეშფოთებული ვიყავი იმის გამო, რაც ხდებოდა პანკისის ხეობაში. არ მინდა მსგავსი მოცემულობა ოდესმე დადგეს საქართველოს რომელიმე კუთხეში. იოლი თემა არ იყო. ეს გახლდათ სახელმწიფოს გამოწვევა, რადგან საქმე პანკისის ხეობას ეხება. სიტუაციას არ ვამძაფრებ. ამ რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, საზოგადოებას ჰქონდა საფუძველი, ზედმიწევნით ყურადღებიანი და შეშფოთებული ვყოფილიყავით.

– ინტერვიუებშიც და კერძო საუბრებშიც მეუბნებიან, რომ პანკისში მომხდარი იყო უთავო მმართველობის შედეგი. თქვენ როგორ აფასებთ იმას, რა სიტუაციაც შეიქმნა პანკისში? რის შედეგი იყო, კომუნიკაცია ვერ დაამყარეს საზოგადოებასთან, ვერ აუხსნეს, თუ რა მოხდა?

– ნებისმიერ საკითხს, რაც უნდა უმტკივნეულო იყოს, აუცილებლად სჭირდება სათანადო კონტაქტი და მოლაპარაკება ადგილობრივ მოსახლეობასთან. ჩემი ინფორმაციით, კომუნიკაცია იყო, მაგრამ შეიძლება არ იყო იმ დოზით, რომ მაქსიმალურად ამოწურულიყო მოლაპარაკებისა და შეთანხმების ლიმიტი. ამიტომ ნებისმიერ ამგვარ სიტუაციაში ხელისუფლებამ უნდა მოახერხოს კომუნიკაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან და მის საფუძველზე გადაწყვიტოს საკითხები.

აქ არ შეიძლება გავყოთ ერთი და მეორე მხარე. თუ საქმე გვაქვს სისხლის სამართლის დანაშაულთან, ამას სჭირდება კანონიერი მიდგომა.

– საპროტესტოდ მთელი მოსახლეობა იყო გამოსული, ყველას ხომ არ დააპატიმრებ.

– ეს არის სენსიტიური რეგიონი და მეტად ფრთხილი მიდგომაა საჭირო. მე ვერ ვიტყვი, ვის მეტი ბრალეულობა აქვს და ვის – ნაკლები. ეს გამოძიებამ უნდა თქვას. აქ შეიძლება პოლიტიკური გადაწყვეტილებაც იყოს მიღებული. სუფთა პოლიტიკური გაგებით არა, მაგრამ როდესაც საუბარია მასობრივი წინააღმდეგობის ფაქტზე (უნდა გამოიკვლიო. საიდან წამოვიდა, როგორ განვითარდა), მთელ ხეობას ხომ არ დააპატიმრებ. ბურთი ხელისუფლების მოედანზეა. ამიტომ ხელისუფლებას ვალდებულება აქვს, სიტუაცია წაიყვანოს იქითკენ, გაუგებრობა მაქსიმალურად კანონის ფარგლებში ამოწურული იყოს.

– გამოძიების დროს, ალბათ, გამოჩნდება, ვინც მანქანები და ბეტეერი დაწვა.

– ამიტომ ჩვენი ხელისუფლების პასუხისმგებლობაა, აბსოლუტურად მისაღები ოქროს შუალედი მოძებნოს.

– ოპონენტები ხელისუფლებას აბრალებენ, რომ მან ვერ შეძლო მოლაპარაკება და საქმე აქამდე მივიდა.

– მღვრიე წყალში თევზის დაჭერა რომ იოლია, ოპონენტები ისეთ ვარიანტში არიან. მათ „ვერც გაუმტყუნებ“ იმიტომ, რომ ყველა არსებულ და არარსებულ მიზეზს იყენებენ, რომ საზოგადოებაში გამოიწვიონ ანტისახელისუფლებო განწყობა. ისინი ხვდებიან, რომ ოპოზიციურად განწყობილ პოლიტიკურ ძალებს მიზერული შანსი აქვთ. თუ არ დაანახეს საზოგადოებას, თითქოს ქვეყანა „ჩამოიქცა“, სხვა გამოსავალი არ აქვთ.

– ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა ბათუმში მომხდარიც გაიხსენა, როდესაც პოლიციის მანქანები დაწვეს და ისიც თქვეს, პოლიცია გააფარჩაკეს და პოლიციელები თითქოს მერაბიშვილს ნატრულობენ. თქვენ ამაზე რა შეგიძლიათ თქვათ?

– კატეგორიულად ვემიჯნები ამ პოსტულატს. ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ის პოლიცია და ის ხელისუფლება გვყავდეს, რაც იყო ნაციონალებისა და მერაბიშვილის დროს. დარწმუნებული ვარ, ახლა ნაცმოძრაობა და მერაბიშვილი რომ ყოფილიყო, პანკისის მსგავს სიტუაციაში სისხლის გუბეები დადგებოდა. საერთოდ, რა მოთმინებაზე და რა დათმობაზე იქნებოდა საუბარი, როცა მშვიდობიან ხალხს როგორ უსწორდებოდნენ. მათ წინააღმდეგ ვინმეს ქვა რომ ესროლა, ვინმეს ჯოხი დაერტყა და ტექნიკა დაეწვა, დარწმუნებული ვარ, ასეულობით გვამი იქნებოდა ადგილზე. ეს ყველაფერი გამართლებული იქნებოდა სახელმწიფო კონსტიტუციური წესრიგის დამყარების არგუმენტით მაშინ, როცა ადამიანების თავები იგორებდა პანკისის ხეობაში. საერთოდ, მაგ პოლიტიკურ ძალას, ნაციონალებს, ასეთ თემებზე ლაპარაკის უფლება არ აქვს, მით უმეტეს, როდესაც გუშინდელივით გვახსოვს ლაფანყურის ე.წ. სპეცოპერაცია. ყველამ იცის, თუ რა სპეცოპერაცია ჩაატარეს და იქ რა გააკეთეს. ლაფანყურის ოპერაციასთან დაკავშირებით დღესაც არის პასუხგაუცემელი კითხვები.

პანკისის მოსახლეობა შეთანხმდა, რომ ჰესების მშენებლობაზე დიალოგი კატეგორიულად გამორიცხულია

სახალხო კრება, რომელიც პანკისის ხეობაში გუშინ თითქმის სამი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა, დასრულდა. მოსახლეობის განცხადებით, ხეობაში ჰესების მშენებლობის საკითხზე დიალოგი კატეგორიულად გამორიცხა. ისინი ასევე აცხადებენ, რომ ხეობაში სიტუაციის მოსაგვარებლად ხელისუფლების სახელზე მიმართვის გავრცელებას აპირებენ. ადგილობრივებმა არ დააკონკრეტეს ვის სახელზე და რა შინაარსის იქნება მიმართვა, თუმცა აღნიშნეს, რომ უახლოეს დღეებში კვლავ შეიკრიბებიან და მთავრობის მისამართით მთავარ მოთხოვნას გაავრცელებენ.

– შეხვედრაზე იყო ბევრ საკითხზე საუბარი, თუმცა ეს შიდა სამზარეულოა. ჩვენ დღეს გადავწყვიტეთ ჰესების თემა, რომ ამ საკითხზე დიალოგი კატეგორიულად გამოირიცხოს. თუმცა მიმართვას, თხოვნას გავავრცელებთ ხელისუფლების მისამართით. რა შინაარსის და ვის სახელზე, ამაზე უახლოს დღეებში კვლავ შევიკრიბებით და გავასაჯაროებთ. ჩვენი მთავარი მიზანია ხეობაში სიტუაციის დალაგება, – აღნიშნა ადგილობრივმა თამაზ ბაღაკაშვილმა.

ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსი — „თიბისი ბანკის“ საქმესთან დაკავშირებით ჩვენი ქმედება იყო სწორი და ეს დაადასტურა ბევრმა რამემ“

„თიბისი ბანკის“ საქმესთან დაკავშირებით ჩვენი ქმედება იყო სწორი და ეს დაადასტურა ბევრმა რამემ“, – ამის შესახებ ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსმა ვალერიან ხასაშვილმა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე განაცხადა. აღსანიშნავია, რომ ეს მისი პირველი საჯარო განცხადებაა „თიბისი ბანკის“ საქმესთან დაკავშირებით.

კომიტეტის სხდომაზე ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე რომან გოცირიძემ ვალერიან ხასაშვილს კითხვით მიმართა, 11 წლის შემდეგ, როგორ გავიდა ფინანსური მონიტორინგის სამსახური „თიბისი ბანკის“ საქმეზე.

– 11 წლის დაგვიანებით „თიბისი ბანკის“ საქმე როგორ აღმოაჩინეთ? რანაირად? მექანიზმი გვითხარით, ვინ მოგიტანათ ეს ინფორმაცია. ჩაგჩურჩულეს? წერილი მოგწერეს? თქვენ ხომ სპეცსამსახური არ ხართ, მოსმენების უფლება არ გაქვთ, ხომ? 11 წლის შემდეგ როგორ გახვედით „თიბისი ბანკის“ საქმეზე? – მიმართა გოცირიძემ ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსს.

ვალერიან ხასაშვილმა თავის მხრივ, გოცირიძეს უპასუხა, რომ საკითხზე დეტალურად ვერ ისაუბრებდა, თუმცა მისი თქმით, ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ქმედება იყო სწორი.

– არსებობს ოფიციალური ნორმები, რის გამოც ამ საკითხს ვერ ჩავუღრმავდებით. ის, რომ ჩვენი ქმედება სწორი იყო, დაადასტურა ბევრმა რამემ, მათ შორის საერთაშორისო აუდიტორებმა, – აღნიშნა ხასაშვილმა.

ოპოზიციონერმა დეპუტატმა ვალერიან ხასაშვილს ისიც ჰკითხა, ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა 11 წლის წინანდელი საქმის შესახებ არ იცოდა, თუ პირიქით, იცოდა და მალავდა, რაზეც ხასაშვილმა უპასუხა, რომ კონფიდენციალურობის პრინციპებიდან გამომდინარე, აღნიშნულ კითხვას ვერ უპასუხებდა.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე რომან გოცირიძის კანონპროექტი განიხილებოდა, რაც საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ეროვნული ბანკის მმართველობის სფეროში დაბრუნებას გულისხმობს. კომიტეტმა აღნიშნულ კანონპროექტს მხარი არ დაუჭირა.

ვახტანგ გომელაური ევროკომისიის მიგრაციისა და საშინაო საქმეთა გენერალური დირექტორის მოადგილეს შეხვდა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა, ვახტანგ გომელაურმა ევროკომისიის მიგრაციისა და საშინაო საქმეთა გენერალური დირექტორის მოადგილესთან მიგრაციის საკითხებში, საიმონ მორდიუსთან შეხვედრა გამართა.

მხარეებმა უსაფრთხოების მიმართულებით ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთთანამშრომლობის საკითხებზე ისაუბრეს და რეგიონში არსებული უსაფრთხოების გარემო მიმოიხილეს. საუბარი შეეხო თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების პერსპექტივებს და სამომავლო გეგმებს.

შეხვედრას ესწრებოდნენ: საქართველოში ევროკავშირის ელჩი კარლ ჰარცელი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე გრიგოლ ლილუაშვილი და ადმინისტრაციის უფროსი ნინო გიორგობიანი.

„ფინანსთა მინისტრი ასეთ მკაცრ რეგულაციებს მხარს არ უჭერდა, იმედია, პოზიცია არ შეაცვლევინეს“

– მოკლევადიან პერიოდში, შესაძლოა, იმდენად დიდი ზიანი მიაყენონ ქვეყნის ეკონომიკას, რომ გრძელი ვადის მოსვლას ვეღარ დაველოდოთ, – „საზოგადოება და ბანკების“ დამფუძნებელი გიორგი კეპულაძე საბანკო რეგულაციებთან დაკავშირებით ფინანსთა მინისტრის განცხადებას აფასებს.

როგორც ივანე მაჭავარიანმა საკომიტეტო მოსმენისას განაცხადა, საბანკო რეგულაციების მთავარი მიზანია, ქვეყანაში გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა. მინისტრის არ სჯერა საბანკო ექსპერტს. გიორგი კეპულაძე სკეპტიკურად უყურებს იმ საკითხს, რომ რეგულაციები გრძელვადიან პერსპექტივაში ეკონომიკურ ზრდას ხელს შეუწყობს

– მე ფინანსთა მინისტრის განცხადება მახსოვს, რომ ის ასეთ მკაცრ რეგულაციებს მხარს არ უჭერდა. იმედია, ამ პოზიციაზე დარჩა ისევ და პოზიცია არ შეაცვლევინეს. რეგულაციებმა გვაჩვენა, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში ეს ბიზნესისთვის მძიმე შედეგებია. თუნდაც სამშენებლო ბიზნესის ნაწილში, ტექნიკის მაღაზიების ნაწილში გაყიდვები მნიშვნელოვნადაა შემცირებული. რეგულაციებმა შეიძლება ისეთი ზიანი მიაყენოს ქვეყნის ეკონომიკას, რომ გამოსწორება შეუძლებელი აღმოჩნდეს. ხელოვნური ჩარევა ბიზნესში ყოველთვის უკუშედეგებს იძლევა. ფულის გასესხება და ვალი არც ამ ქვეყანაში მოგონილა და არც ამ საუკუნეში, ეს პრობლემა სულ იდგა. ხელოვნური ჩარევით, ერთი ხელის მოსმით ეს პრობლემა ვერ გადაიჭრება, მით უმეტეს, ღარიბ ქვეყანაში. თუ გვინდა დავამარცხოთ ჭარბვალიანობა, უნდა დავამარცხოთ მისი გამომწვევი მიზეზი სიღარიბე, ამისთვის აუცილებელია თავისუფალი ბიზნესი, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა და რაც შეიძლება ნაკლები რეგულაციები, – განაცხადა გიორგი კეპულაძემ.

გიორგი კეპულაძის აზრს იზიარებს ეკონომისტი ირაკლი მაკალათია. მისი თქმით, რეგულაციებმა უკვე დააზარალა საბანკო სექტორი, ბიზნესი და მოსახლეობა. ეკონომიკის დოქტორი აცხადებს, რომ რეგულაციები ეკონომიკურ ზრდაზე დადებითად არ აისახება.

– რეგულაციებმა ბიზნესს უარყოფითი შედეგები უკვე მოუტანა. ბიზნესის შემცირება ნიშნავს იმას, რომ დასაქმებულების დონე შემცირდა. ტექნიკის მაღაზიამ შიდა განვადებასა და ფულის ამოღებაზე არ უნდა იზრუნოს, უნდა იზრუნოს გაყიდვაზე, ფულის ამოღებაზე კი ბანკმა. რა რეგულაციებიც არ უნდა მოიგონოს სახელმწიფომ, ყოველთვის არის შავი ხვრელი, რითაც კერძო სექტორი აუვლის გვერდს რეგულაციებს. ადამიანებს ფულს არ აძლევ იმიტომ, რომ ის სესხს ვერ გადაიხდის, ეს არ არის გამართლება. მოსახლეობას ფინანსებზე ხელმისაწვდომობა რომ შეეზღუდება, ისინი სხვა ალტერნატივაზე გადავლენ. თავიდან რეგულაციების გატარების მიზეზად ჭარბვალიანობა დასახელეს, როგორც ყოველთვის, ბრძოლა გამოუცხადეს მიზეზს და არა შედეგს, – განაცხადა ირაკლი მაკალათიამ.

ირაკლი მაკალათია იმ ორ მიზეზზე ამახვილებს ყურადღებას, რის გამოც, მისი აზრით, საბანკო რეგულაციები ამოქმედდა:

– გასულ წელს მცირე ბიზნესს 5 პროცენტიდან ერთ პროცენტამდე შეუმცირეს გადასახადი, შემდეგ გამოქვეყნდა სავალუტო ფონდის კვლევა, რომ საქართველოში ჩრდილოვან ეკონომიკას უჭირავს 54 პროცენტზე მეტი. ანუ ჩრდილოვან ეკონომიკაში მოიაზრება ტაქსები, რეპეტიტორები და ა.შ. თვითდასაქმებული ადამიანები, რომელთა შემოსავლებიც არსად ჩანს. თვითდასაქმებულებს მოტივაცია შეუქმნეს და უთხრეს, რომ დაადასტურონ შემოსავლები, რის შემდეგაც შეძლებენ სესხის აღებას. ისინი დარეგისტრირდნენ გადამხდელებად და ჩრდილოვანი ეკონომიკიდან გამოვიდნენ. ეს მგონია ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც საბანკო რეგულაციები ამოქმედდა.

რეგულაციების ამოქმედების კიდევ ერთი მიზეზი არის ის, რომ საერთაშორისო დონეზე ჭარბვალიანობასთან დაკავშირებით სტატისტიკა გაგვიუმჯობესდება. ვთქვათ, ქვეყანაში ჭარბვალიანობა არის 70 პროცენტი, ახლა ბანკი 10-დან 7 ადამიანს სესხს არ მისცემს. სტატისტიკაში აისახება ის, რომ სამმა ადამიანმა, რომელმაც აიღო სესხი, სამივემ გადაიხადა. მაქსიმალურ მაჩვენებელზე ავა გადახდისუნარიანობა. სტატისტიკის მიხედვით, ქვეყანაში ჭარბვალიანობა დაიძლევა, საერთაშორისო ინსტიტუტებს ამ სტატისტიკით თავს მოაწონებენ. შვიდი ადამიანი ამ დროს კერძო მევახშეებთან წავა და სხვა გზით იშოვის თანხას, – განაცხადა ირაკლი მაკალათიამ.

კომერსანტი

აკაკი ზოიძე: „საპენსიო რეფორმა არის ინვესტიცია ქვეყნის მომავალში“

ეს არის გრძელვადიანი ანაბარი, რომელიც გაცილებით უკეთესად არის დაცული, ვიდრე ნებისმიერ კომერციულ ბანკში განთავსებული ანაბარი, – განაცხადა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ აკაკი ზოიძემ, რომელიც საპენსიო სააგენტოს თავმჯდომარის ანგარიშს ესწრებოდა.

ზოიძემ აღნიშნა, რომ საპენსიო დანაზოგი არის ინვესტიცია ქვეყნის მომავალში.

– ყველა ერთად ვინაწილებთ რისკს, რომ საქართველო იქნება აყვავებული ქვეყანა 20 წელიწადში, 25-ში, 30-ში, მაგრამ აუცილებლად იქნება, ეს ფული მუშაობს სწორედ აყვავებისთვის და ეკონომიკის განვითარებისათვის. მუშაობს ყველა ჩვენი საერთო ფული და კიდევ იმისათვის ვიყენებთ, რომ ღირსეული, ნორმალური სიბერე გვქონდეს, – აღნიშნა დეპუტატმა.

ზოიძე აცხადებს, რომ დაგროვებით საპენსიო სქემაში რაც შეიძლება მეტი ადამიანი უნდა ჩაერთოს და თანხებიც სწორედ მეტი დასაქმებულების მოზიდვაში უნდა დაიხარჯოს.

1ტვ-ვე

„გლეხების მიერ წარმოებული რძის პროდუქტის რეალიზაცია შეიზღუდება, თუ ისინი ჰიგიენის ნორმებს არ დაიცავენ“

გლეხების მიერ წარმოებული რძის პროდუქტის რეალიზაცია შეიზღუდება თუ ისინი ჰიგიენის ნორმებს არ დაიცავენ, – აცხადებს მომავლის ფერმერის ხელმძღვანელი რუსუდან გიგაშვილი.

– აუცილებელია რძის ნაწარმი კვლევადი იყოს, თუმცა ქვეყანაში ამ მიმართულებით კვლევები არ ტარდება. ბევრი დიდი ინდუსტრიული საწარმო გლეხური მეურნეობის სახელს ამოფარებულია და საშეღავათო პერიოდს იყენებენ, რომელიც მათ სახელმწიფოს მხრიდან 2020 წლამდე აქვთ. თუმცა არ ვიცით 2020 წელს ამ მიმართულებით რა ცვლილებით დაიწყება. უნდა იყოს გამიჯნული საწარმო, რომელიც, პირობითად, დღეში 5 ტონა რძეს ამუშავებს, და საწარმო, რომელსაც დღეში 30 კილო ყველი ამოჰყავს. მაგრამ ორივე შემთხვევაში დაცული უნდა იყოს ჰიგიენის სტანდარტები, რაც, თავის მხრივ, მომხმარებლის უფლებების დაცვას ითვალისწინებს. რაც შეეხება გლეხების მიერ წარმოებულ რძის პროდუქტს, არ შეიძლება ის შეიზღუდოს. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში არაფერი იკრძალება. მით უმეტეს, როდესაც ადგილობრივ წარმოებას ეხება საქმე. ევროპასა და ამერიკაში სპეციალური ბაზრობებიც ეწყობა და მაქსიმალური ხელშეწყობა აქვს შინამეურნეობას, რადგან მსოფლიო საოჯახო მეურნეობის აღიარებისკენ მიდის. აქ საუბარია იმაზე, რომ ვიცოდეთ, რას აკეთებს მეურნე, თავის ეტიკეტისა და სტანდარტების დაცვით. მე, როგორც მომხმარებელი, თავად უნდა ვწყვეტდე, გლეხურ ნაწარმს ვიყიდი თუ ინდუსტრიულს. მაგრამ უნდა ვიცოდე, რომ ის არის სუფთა და ჰიგიენურ პირობებში დამზადებული, – ამბობს რუსუდან გიგაშვილი.

არაჰიგიენურ პირობებში გლეხების მიერ წარმოებული ყველის რეალიზაცია უნდა შეიზღუდოს, ამის შესახებ „ნატურალ+“-ის წარმომადგენელი გიორგი ბალესიაშვილიც საუბრობს. მისივე თქმით, თუ გლეხს მწარმოებლის მხრიდან ნედლ რძეზე მოთხოვნა არ ექნა, გლეხები, შინამეურნეობები ისევ გააგრძელებენ ყველის წარმოებას არაჰიგიენურ პირობებში.

ბასილაშვილი განმარტავს, რომ პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის მიერ რძის და რძის პროდუქტების დღგ-ისგან გათავისუფლების საკანონმდებლო ინიციატივაზე იმ მიზეზით მოხდა მხარის არდაჭერა, რომ ფერმერებისთვის პირდაპირი სარგებელი არ მოაქვს და ასევე, პროდუქტს მომხმარებლისთვის არ აიაფებს, რაც არასწორია.

შეგახსენებთ, არსებული რეგულაციით დღგ-იგან გათავისუფლებულია მხოლოდ 2 ლიტრზე მეტი პირველად საფუთავებში ჩასხმული რძე და საქართველოში წარმოებული ყველი. კანონპროექტის მიხედვით კი, ერთიან საგადასახადო რეჟიმში უნდა მოქცეულიყო რძე და ნატურალური რძისგან ნაწარმოები რძის პროდუქტები. ფინანსთა სამინისტროს გათვლებით, ამ შემთხვევაში ბიუჯეტს დაახლოებით 35 მილიონი ლარი დააკლდებოდა.

კომერსანტი

ვინ ფლობს გარე რეკლამის ბაზარს თბილისში — გადათამაშება ბიზნესში

კონკურენციის სააგენტო თბილისის გარე სარეკლამო ბაზარს შეისწავლის. კერძოდ, სააგენტომ მოკვლევა შპს „აუთდორ.ჯის“ მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის (დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) სავარაუდო დარღვევის ფაქტზე, შპს „ჯეევერს დეველოპმენტის“ საჩივრის საფუძველზე დაიწყო.

შეგახსენებთ, რომ თბილისის საკრებულოს დეპუტატის ვატო შაქარიშვილის განცხადებით, თბილისის გარე რეკლამის ბაზარს სწავლობს ქალაქის მთავრობაც. მისი თქმით, ამ ეტაპზე კომპანია „ალმასთან“ გაფორმებული დოკუმენტის სამართლებრივი შესწავლა მიმდინარეობს.

აღსანიშნავია, რომ ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობისა და ბაზრის შესწავლის საჭიროებაზე სამოქალაქო სექტორი წლებია საუბრობს. მათ შორის, გასულ წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ გამოაქვეყნა სარეკლამო ბაზრის შესახებ ანგარიში, რომლის თანახმადაც გარე რეკლამის ბაზარი დღეის მდგომარეობით, 2 კომპანიას შორისაა განაწილებული. მათი ცნობით, ორივე კომპანიის უკან ერთი და იგივე პირები დგანან, ამიტომ კონკურენციის სააგენტომ უნდა შეისწავლოს, ხომ არ ხდება კომპანიების მხრიდან დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა, ვინ ფლობს გარე რეკლამის ბაზარს დედაქალაქში. აღსანიშნავია, რომ 2009 წლამდე გარე რეკლამის ბაზარზე მთავარი მოთამაშე „ალმა +“ იყო. 2009 წელს კი რეკლამის დიდი ნაწილი კომპანია „აუთდორ.ჯი“-ს ხელში გადავიდა. დღეის მდგომარეობით კი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ ანგარიშის მიხედვით, 2021 წლამდე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე რეკლამის განთავსების უფლება – „აუთდორ.ჯის“ აქვს, ხოლო მტკვრის მარცხენა სანაპიროზე – „სმოდ ედვერთაისინგს“.

რეესტრის მიმდინარე წლის 19 აპრილის ამონაწერით, შპს „აუთდორ.ჯის“ ერთ-ერთი მთავარი, 70%-იანი წილის მფლობელი ოფშორში რეგისტრირებული კომპანია Mega Solutions Holding-ია. მანამდე კი ეს წილი ასევე ოფშორში რეგისტრირებულ იდპროჯექტს-ს ეკუთვნოდა.

რაც შეეხება სხვა მფლობელებს, 20%-ს შპს „სამკუთხედი“ ფლობს, რომლის 100%-იანი წილის მფლობელი 2019 წლის აპრილამდე ასევე „ედპროჯექტსი“ იყო; თუმცა, უკვე 2019 წლის 19 აპრილის ამონაწერით, „სამკუთხედის“ 100%-იან წილსაც ასევე ოფშორში რეგისტრირებული Mega Solutions Holding-ი ფლობს. ამასთან, „აუთდორის“ 10% შპს „ჯეოტეკს“ ეკუთვნის, რომლის 100%-იანი წილის მფლობელად რეესტრში შპს „ალმა“ ფიქსირდება.

თავის მხრივ „ალმას“ 100%-იანი წილი შპს „გლობალ ინვესტორს ლიმიტედს“ (Global Investors Limited) ეკუთვნის. თუმცა, როგორც რეესტრის 2019 წლის მარტის ამონაწერშია აღნიშნული, „გლობალ ინვესტორს ლიმიტედი“ თავის 100% წილს შპს Meridian Malta LTD-ს სასარგებლოდ ასხვისებს, მაგრამ რეესტრს სარეგისტრაციო წარმოება შეჩერებული აქვს.

რაც შეეხება შპს „სმოდ ედვერთაისინგის“, რომელიც მტკვრის მარცხენა სანაპიროზე რეკლამის განთავსების უფლებას 2021 წლამდე ფლობს, რეესტრის 2019 წლის 19 აპრილის ამონაწერის მიხედვით, მისი 100%-იანი წილი ოფშორში (ვირჯინიის კუნძულებზე) რეგისტრირებულ Mega Solutions Holding-ს ეკუთვნის. ცნობისთვის, მანამდე „სმოდის“ მფლობელი ასევე ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული Milarm International-ი იყო (შეგახსენებთ, რომ „მილარმის“ დირექტორები დავით იაკობაშვილი და სერგეი ვორონცოვი არიან).

შესაბამისად, გამოდის, რომ ორივე კომპანიას, რომელიც დედაქალაქში რეკლამის განთავსების უფლებას ფლობს, ფაქტობრივად, ერთი მფლობელი ჰყავს. კერძოდ, „აუთდორ.ჯის“ 90% და „სმოდ ედვერთაისინგის“ 100%-იანი წილი Mega Solutions Holding-ს ეკუთვნის.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ „აუთდორ.ჯის“, „სმოდ ედვერთაისინგისა“ და „სამკუთხედს“ ერთი და იგივე დირექტორი – რუსეთის მოქალაქე ზურაბ პერტაია, ჰყავთ.

BPN

ლაშა იორდანიშვილი: „ჰიდრორესურსების ათვისებას საქართველოში ალტერნატივა არ გააჩნია“

ჰიდრორესურსების ათვისებას საქართველოში ალტერნატივა არ გააჩნია, – ამის შესახებ კომპანია „ფერის“ დირექტორმა ლაშა იორდანიშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, მზე და ქარი არ არის ჰიდროენერგეტიკის ალტერნატივა, რადგან ძალიან მაღალია მათი ტარიფები, ასევე ადგილი აქვს ტექნიკურ პრობლემებს.

– მაგალითად, ერთი მეგავატი მზის ენერგიის მისაღებად საჭიროა ორი ჰექტარი მიწის დაკავება. ის ძალიან ძვირია, რაც მოსახლეობის ტარიფზე აისახება. ქარს სისტემასთან სინქრონიზაციაში მუშაობის პრობლემა აქვს. მზისა და ქარის ენერგიის მიმართ დიდი პატივისცემის მიუხედავად, ჰესების ალტერნატივა საქართველოში არ არსებობს, – განაცხადა ლაშა იორდანიშვილმა.

„ფერის“ ხელმძღვანელის განცხადებით, კომპანიის მთავარი ამოცანა ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობაში წვლილის შეტანაა.

– ჩვენ ვიცით მხოლოდ ეს საქმე, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. გვიყვარს ჩვენი ქვეყანა და ვფიქრობთ, რომ ძალიან დიდი წვლილი შეგვაქვს ჩვენი ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის საქმეში. დღემდე ვართ ყველაზე დიდი ქართული კომპანია, რომელმაც განახორციელა საამაყო პროექტები მთელი საქართველოს მასშტაბით. დავიხარჯებით ბოლომდე, რომ კიდევ უფრო მეტი სარგებელი მიიღოს მოსახლეობამ და წვლილი შევიტანოთ ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობაში, – აღნიშნა ლაშა იორდანიშვილმა.

პანკისის ხეობაში მცირე ჰესის „ხადორი-3“-ის მშენებლობას კომპანიები „ალაზანი ენერჯი“ და „ფერი“ გეგმავენ. ჰიდროელექტროსადგური, რომლის სიმძლავრეც 5,4 მგვტ-ია, ახმეტის მუნიციპალიტეტში, მდინარე ალაზანზე უნდა აშენდეს.

1ტვ

ლევან ჯიბღაშვილი: „კალაძეს არ ვიცნობ, მანქანაში რაც იპოვეს, ყველაფერი ჩემია“

ბიზნესმენის ავტომობილიდან კოკაინი და ექსტაზია ამოღებული

23 აპრილს, ღამით, გირაოთი განთავისუფლების შემდეგ, მსახიობმა და ბიზნესმენმა ლევან ჯიბღაშვილმა გლდანის წინასწარი დაკავების იზოლატორი დატოვა.

– ძალიან მძიმე იყო ჩემთვის შიგნიდან შეფასება, ძალიან რთულია, – განაცხადა მან.

კითხვაზე, ახსენებდა თუ არა დაკავების მომენტში შს მინისტრის მოადგილე კახა საბანაძის გვარს, ჯიბღაშვილმა უპასუხა, რომ ის მხოლოდ თავის იურისტებთან კახა ასლანიშვილთან ან ამირან გიგუაშვილთან დარეკვას ითხოვდა.

– ვიხვეწებოდი, რომ დამარეკინეთ, დაესწრონ ჩხრეკას. შემთხვევით დამინახა ჩემმა მეგობარმა და დაიწყო რეკვა ჩემს ახლობლებთან და ამის შემდეგ მოვიდნენ ადვოკატები. მე, ელემენტარულად, დარეკვის საშუალებაც არ მომეცა, – განაცხადა ჯიბღაშვილმა.

მან ასევე უარყო გავრცელებული ინფორმაცია, რომ დაკავების მომენტში კახა კალაძესთან დარეკვას ითხოვდა.

– ჩემთან ერთად გადაღებულ ძალიან ბევრი ადამიანის ფოტოს ნახავთ გამომდინარე ჩემი ძალიან დიდი კონტაქტებიდან. შეიძლება ითქვას, რომ ნახევარ საქართველოს ვიცნობ და ნახევარ საქართველოსთან მაქვს გადაღებული ფოტო, მათ შორის, ყოფილ მინისტრებთან, ყოფილ პრემიერებთან და არ აქვს ამას მნიშვნელობა. აქედან გამომდინარე, მე, ჩემი ცხოვრების არც ერთ ეტაპზე, არასოდეს მისარგებლია პირადი კონტაქტებით.

ეს იცის აბსოლუტურად ყველამ. ჩემმა წრემ და ძალიან ბევრმა ჟურნალისტმაც. მით უმეტეს მაშინ, როცა მე მომივიდა ასეთი შეცდომა, მით უმეტეს ამ მომენტში, არ ვისარგებლებდი არც ამ ადამიანით და არც სხვა დანარჩენი პიროვნებებით.

კახა კალაძეს საერთოდ არ ვიცნობ, არასოდეს გამარჯობა არ გვითქვამს ერთმანეთისთვის. აქედან გამომდინარე, მე სასამართლოში მადლობაც გადავუხადე ჟურნალისტებს და ყველას გთხოვთ, იყოთ ობიექტურები.

თითოეულმა თქვენმა სიტყვამ შეიძლება გადაწყვიტოს როგორც ჩემი ბედი, როცა სასამართლო პროცესი არ არის სრულად დამთავრებული, ისე ნებისმიერი სხვა ადამიანის ბედი შეიძლება გადაწყვიტოს თითოეულმა თქვენმა ინტერპრეტირებულმა სიტყვამ, – განაცხადა ჯიბღაშვილმა.

კითხვაზე, აღმოჩენილი ნარკოტიკული საშუალება ეკუთვნოდა თუ არა მას ან რა დანიშნულებისთვის სჭირდებოდა, ჯიბღაშვილმა განაცხადა, რომ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე მეტს ვერაფერს იტყოდა.

– რაც შეეხება ჩემს მანქანაში არსებულ ნივთიერებებს, მე ეს ყველაფერი დავადასტურე, მიმდინარეობს გამოძიება, გამოძიებასთან ვთანამშრომლობთ და, რა თქმა უნდა, ყველაფერი ვაღიარე, მე მეკუთვნის ეს, ყველაფერი ჩემია და სხვა ინფორმაციას, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ვერ გავაჟღერებ.

ჩვეულებრივად მოძრაობისას გამაჩერა საპატრულო პოლიციამ და მანქანის დათვალიერებისას აღმოაჩინეს ეს. არაფრის ზემოქმედების ქვეშ არ ვიყავი, ეს დაადასტურა გამოკვლევამაც, – განაცხადა ჯიბღაშვილმა.

***

გუშინ, 24 აპრილს, მომხდარზე კომენტარი შს მინისტრის მოადგილემ ნათია მეზვრიშვილმა გააკეთა

– შს სამინისტროსთვის ბატონი ჯიბღაშვილი გახლავთ ჩვეულებრივი ბრალდებული, – განაცხადა მან.

მინისტრის მოადგილის თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჯიბღაშვილი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დააკავა.

– სამინისტრო არ გახლავთ უფლებამოსილი, რომ აღკვეთის ღონისძიება მოითხოვოს პირის მიმართ. ყველაზე მკაცრი ზომა, რისი განხორციელებაც სამინისტროს შეუძლია, ეს გახლავთ დაკავება და სამინისტრომ ეს ყველაზე მკაცრი ზომა ბატონი ჯიბღაშვილის მიმართ გამოიყენა – დააკავა სისხლის სამართლის წესით.

რაც შეეხება ბრალდებას: მას პროკურატურამ წაუყენა ბრალი, შემდეგ მოითხოვა კონკრეტული აღკვეთის ღონისძიება, რომელიც, სამწუხაროდ, საზოგადოებას ხშირად ერევა სასჯელში.

აღკვეთის ღონისძიება პირის მიმართ გამოიყენება ინდივიდუალურად: პიროვნული მახასიათებლების, წარსულში ნასამართლეობის და ა.შ. მიხედვით. არ ვცდილობ არაფრის ახსნას, ვცდილობ იურიდიული პროცედურები განვმარტო. ამით ყველაფერი დამთავრებული არ არის. ეს ნიშნავს, რომ ხვალ სასამართლომ ბატონ ჯიბღაშვილს, შესაძლოა, სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდოს, – განაცხადა მეზვრიშვილმა.

***

გუშინვე ცნობილი გახდა ლევან ჯიბღაშვილის ავტომობილიდან ამოღებული ნივთიერებების ექსპერტიზის შედეგები.

ექსპერტიზით დადგინდა, რომ მსახიობსა და ბიზნესმენს ჩანთაში 0,5659გ. კოკაინი და 0,1921გ. ექსტაზი ჰქონდა. გამოსაკვლევი დარჩა მცირე ოდენობით მარიხუანა, რომლის ექსპერტიზის პასუხს სამართალდამცველები ელოდებიან.

განსაკუთრებით დიდი ოდენობა ნარკოტიკული საშუალება და ფსიქოტროპული ნივთიერება არ გამოვლინდა.

ლევან ჯიბღაშვილის ადვოკატ ამირან გიგუაშვილის განმარტებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფს ნარკოტიკული საშუალება პირადი მიზნებისთვის ჰქონდა შეძენილი.

აღნიშნული ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს“ გიგუაშვილმა მიაწოდა.

– ეს ნარკოტიკული საშუალება სხვისთვის არ შეიძლებოდა დასჭირვებოდა, ვინაიდან ამ შემთხვევაში, კვალიფიკაცია არა შეძენა-შენახვა იქნებოდა, არამედ სხვა. მას საკუთარი მიზნებისათვის, საჭიროებისათვის ჰქონდა ნარკოტიკული საშუალება შეძენილი და ინახავდა.

ლევან ჯიბღაშვილი არის ახალგაზრდა ადამიანი, ჰყავს მეუღლე, დღე-დღეზე ელოდება შვილს, ძალიან რთულია ამ მდგომარეობაში ადამიანს მოსთხოვთ სრული გასაჯაროება პირადი ცხოვრების.

თუ მეკითხებით, არის თუ არა ლევან ჯიბღაშვილი აქტიური მომხმარებელი, ეს ასე არ არის. თუ იმას მეკითხებით, როგორც საქართველოს ახალგაზრდების მნიშვნელოვან ნაწილს, გასინჯული აქვს თუ არა ნარკოტიკული საშუალება, ეს თეორიულად დასაშვებია. თუმცა, ექსპერტიზის პასუხი ჯერ არ არის მოსული და დადასტურებული არაა, იმყოფებოდა თუ არა ის ნარკოტიკული თრობის ქვეშ. ამ ეტაპზე მას სამართლებრივად ნარკოტიკული თრობა დადასტურებული არ აქვს, – განაცხადა გიგუაშვილმა.

მისი თქმით, ლევან ჯიბღაშვილის შემთხვევაში არანაირი შერჩევითი სამართალი არ განხორციელებულა, პირიქით, უფრო მკაცრი, მაღალი ოდენობის გირაო იქნა გამოყენებული, ვიდრე ანალოგიურ შემთხვევებში სასამართლოს გამოუყენებია.

– პირადად მე მქონდა შემთხვევა, ანალოგიური კვალიფიკაციის დროს, პირი თანამშრომლობდა გამოძიებასთან, აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს, არ ჰქონდა ადმინისტრაციული სახდელიც კი, მას არ შეიძლებოდა გამოძიებისთვის ხელი შეეშალა და გირაოთი გაათავისუფლეს. თან, გაცილებით ნაკლები გირაოთი. ამიტომაც, ფორმალურად და სამართლებრივად, ის გადაწყვეტილება, რაც სასამართლომ და პროკურატურამ მიიღო, აბსოლუტურად კანონიერია, – განაცხადა გიგუაშვილმა.

მისივე განმარტებით, ის, რომ ლევან ჯიბღაშვილს შს მინისტრის მოადგილესთან, კახა საბანაძესთან აქვს ფოტო გადაღებული, არ შეიძლება ჯიბღაშვილის მიმართ შერჩევითი სამართლის გამოყენების საფუძველი გახდეს.

– მთელი ეს სპეკულაციები რომელიღაც პოლიტიკური ჯგუფების დღის წესრიგიდან გამომდინარეა. შემიძლია წარმოგიდგინოთ რუსთავი 2-ის სიუჟეტი, თუ როგორ ხსნიან ივანე მერაბიშვილი და ლევან ჯიბღაშვილი დედოფლისწყაროში პოლიციის შენობას, როგორ აქვს ფოტოსურათები გადაღებული გიგი უგულავასთან.

ამიტომ, პოლიტიკური სპეკულაციები, რომ ვინმეს ვინმესთან სურათის გადაღება შეიძლება გახდეს მისთვის შერჩევითი სამართლის გამოყენების საფუძველი, რეალობას არ შეესაბამება, – აღნიშნა ამირან გიგუაშვილმა.

ვანო მერაბიშვილს ვადამდე გათავისუფლებაზე უარი ეთქვა

სპეციალური პენიტენციური სამსახურის ინფორმაციით, უწყების ადგილობრივმა საბჭომ საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის, ვანო მერაბიშვილის პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი განიხილა.

მსჯავრდებულს ვადამდე გათავისუფლებაზე უარი ეთქვა.

საბჭომ საკითხი 11 აპრილს განიხილა და გადაწყვეტილების შესახებ მსჯავრდებულს უკვე აცნობა.

მერაბიშვილის ადვოკატი, გიორგი ჩივიაშვილი ამბობს, რომ ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება და მერაბიშვილის მიმართ პოლიტიკური დევნა მიმდინარეობს.

– ახალი გარემოება არ არსებობს, ხოლო ყველა ის გარემოება და ფაქტი, რომელიც არსებობდა აქამდე, მასზე სასამართლომ უთხრა, რომ ვერ გამოდგებოდა უარისთვის.

გვრჩება განცდა, რომ ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება. მიმდინარეობს მერაბიშვილის მიმართ პოლიტიკური დევნა.

იმ ფონზეც კი, როცა სასამართლომ მიუთითა, რომ არგუმენტები, რომლითაც უარს ეუბნებიან გათავისუფლებაზე, არ გამოდგებოდა და ამის გამო გააუქმა ეს ადმინისტრაციულ-ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, ჩვენ მივიღეთ ისევ იგივე.

ვერ შევალთ შინაარსში იმიტომ, რომ არ ვიცით შინაარსი. მერაბიშვილმა თავად დაუწერა განცხადება და ველოდებით დასაბუთებას. ამის შემდეგ შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმ არგუმენტებზე, თუ რითი ეთქვა უარი, – განაცხადა ადვოკატმა გიორგი ჩივიაშვილმა.

2 ნიგერიელს ინდოელის გაუპატიურებისთვის 10-10 წელი მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ჯგუფურად ჩადენილი გაუპატიურებისთვის ბრალდებულები, ნიგერიის მოქალაქეები ჯ.ე. და უ.გ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2018 წლის 3 მაისს ნიგერიის მოქალაქე ჯ.ე.-მ თბილისში ინდოეთის მოქალაქე ს.ს. მოტყუებით მიიყვანა მეგობრის – ასევე ნიგერიის მოქალაქის უ.გ-ს საცხოვრებელ ბინაში, სადაც ორივე პირმა ძალადობითა და ჯანმრთელობის დაზიანების მუქარით დაზარალებული გააუპატიურეს.

„სამართალდამცველებმა ჯ.ე. და უ.გ. 2018 წლის 4 მაისს ქ.თბილისში დააკავეს. მათ ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (გაუპატიურება, ჩადენილი ჯგუფურად, ძალადობითა და ძალადობის გამოყენების მუქარით) წარედგინათ და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ჯ.ე. და უ.გ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად თითოეულს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ზუგდიდში პროკურატურასთან ბესიკ დგებუაძის ახლობლებმა აქცია გამართეს

გუშინ, 24 აპრილს, ზუგდიდში, სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურატურასთან, ცრუ ჩვენებისა და სხეულის განზრახ დაზიანების ბრალდებით დაკავებული ბესიკ დგებუაძის ახლობლებმა აქცია გამართეს.

ოჯახის წევრები ოლქის პროკურორს შეხვდნენ, რის შემდეგაც აქცია შეწყვიტეს.

დაკავებულის მამის ვლადიმერ დგებუაძის თქმით, მან პროკურორს ციხეში მყოფი შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. მისივე განმარტებით, პროკურატურა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შუამდგომლობაზე იმსჯელებს, თუ სასამართლო პროცესზე შესაბამის ცნობას წარადგენენ. ოჯახი ამ ეტაპზე შვილის გირაოთი გათავისუფლებას ითხოვს.

ბრალდებულის ადვოკატის, ბაჩუკი ყურაშვილის, განცხადებით, აღნიშნულ საქმეზე სასამართლო პროცესი 27 აპრილს გაიმართება და დაცვის მხარე აღკვეთის ღონისძიების შეცვლას მოითხოვს.

დგებუაძეს ბრალი ორი მუხლით, 120-ე და 370-ე მუხლებით ედება, რაც სხეულის განზრახ დაზიანებას და ცრუ ჩვენების მიცემას გულისხმობს.

გორიჯვრის მთაზე გოგა დოლიაშვილი ჩამომხრჩვალი იპოვეს

23 აპრილს, ღამით, გორიჯვრის მთაზე, წმინდა გიორგის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, 20 წლის ბიჭი ჩამომხრჩვალი იპოვეს.

„დიანიუსის“ ინფორმაციით, გარდაცვლილი გოგა დოლიაშვილია, რომელიც გორში, კომბინატის დასახლებაში ცხოვრობდა.

მთელი ღამის განმავლობაში შემთხვევის ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ.

როგორც „დიანიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ბრაზილიის ყოფილ პრეზიდენტს პატიმრობის ვადა 13-დან 8 წლამდე შეუმცირდა



ბრაზილიის უზენაესმა სასამართლომ ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტს ლულა და სილვას კორუფციის საქმეზე პატიმრობის ვადა 13 წლიდან 8 წლამდე შეუმცირა.

ბრაზილიის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების აზრით, მეორე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება პატიმრობის ვადის გაზრდის შესახებ გაუმართლებელი იყო.

შესაბამისად, მოსამართლეებმა ნაწილობრივ დააკმაყოფილეს დაცვის მხარის აპელაცია, რომელიც წინა ვერდიქტების სრულ გადახედვასა და პოლიტიკოსის პატიმრობიდან გათავისუფლებას ითხოვდა.

ბრაზილიის ყოფილი პრეზიდენტი ლულა და სილვა კორუფციისა და ფულის გათეთრების საქმეზე გაასამართლეს. საუბარია დანაშაულებრივ სქემაზე ნავთობისა და გაზის სახელმწიფო კომპანია პეტრობრასში.

ბრაზილიის სასჯელაღსრულების კოდექსის დებულებებისა და იმ ვადის გათვალისწინებით, რომელიც ლულა და სილვამ პატიმრობაში გაატარა, შესაძლოა პატიმრობა გამოსასწორებელი სამუშაოებით ჩაუნაცვლონ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ლულა და სილვამ, შესაძლოა, პენიტენციური დაწესებულება მიმდინარე წლის სექტემბერში დატოვოს.

ლატვიის ყველა სკოლაში სწავლა ლატვიურ ენაზე იქნება

ჯერ კიდევ 2018 წელს ლატვიის პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ ყველა სკოლაში სწავლების ლატვიურ ენაზე გადაყვანის თაობაზე, რაც თანდათან, 2020 წლისათვის უნდა მომხდარიყო.

ამას ლატვიის რუსულენოვანი მოსახლეობის პროტესტი მოჰყვა. მათ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანეს.

საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა.

– 2020 წლისთვის ლატვიის ტერიტორიაზე არსებულ ყველა სკოლაში სწავლება ლატვიურ ენაზე იქნება. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ შეიცვლება, – განაცხადა ლატვიის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ოსიპოვამ.

ლატვიურ ენაზე იქნება სწავლება კერძო სკოლებშიც, რომელთაც რუსი ბიზნესმენები აფინანსებენ.

კიმ ჩენ ინი საკუთარი მატარებლით რუსეთში ჩავიდა

– დიდი ხანია, რუსეთში ჩამოსვლაზე ვოცნებობდი, – განაცხადა ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა, კიმ ჩენ ინმა, რომელიც გუშინ, 24 აპრილს, ოფიციალური ვიზიტით რუსეთში ჩავიდა.

პირველი გაჩერება კიმ ჩენ ინმა ხასანის სარკინიგზო სადგურზე გააკეთა, სადაც მას პრიმორიეს მხარის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ოლეგ კოჟემიაკო საზეიმოდ დახვდა.

– ბევრი კარგი მსმენია თქვენს ქვეყანაზე და დიდი ხანია ვოცნებობდი აქ ჩამოსვლაზე. უკვე შვიდი წელი გავიდა, რაც ქვეყნის სათავეში მოვედი და მხოლოდ ახლა შევძელი რუსეთში ჩამოსვლა, – განაცხადა კიმ ჩენ ინმა.

ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა ასევე აღნიშნა, რომ მამამისს ძალიან უყვარდა რუსეთი და ახლა ის, ტრადიციისამებრ, ორ ქვეყნებს შორის კავშირებს გააძლიერებს.

25 აპრილს ჩრდილოეთ კორეის ლიდერს რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან აქვს დაგეგმილი შეხვედრა.

ეს კიმ ჩენ ინის რუსეთში პირველი ვიზიტია მას შემდეგ, რაც ის ჩრდილოეთ კორეის ლიდერი გახდა. ვლადიმერ პუტინთან მოლაპარაკებების მთავარი საკითხი იქნება კორეის ნახევარკუნძულის დენუკლეარიზაცია და ორმხრივი ურთიერთობების განვითარება.

ფსბ-მ ჩეჩნეთში ოპერაცია ჩაატარა

ჩრდილოეთ კავკასიაში ტერორისტების გამოხდომები არ წყდება. რუსულმა ფსბ-მაც გროზნოსა და მახაჭკალაში მორიგი ოპერაციები ჩაატარა.

დაკავებული არიან ტერორისტები. ისინი ჩეჩნეთსა და დაღესტანში ტერაქტების მოწყობას აპირებდნენ.

ტერორისტები ისლამური სახელმწიფოს წევრები არიან.

დაკავებულთა მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ქალეიდოსკოპი

მთვრალმა გოგონამ ტაქსი სხვა საგრაფოში შეუკვეთა და უფულოდ დარჩა

ლონდონში არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა ტაქსი გამოიძახა სახლში წასასვლელად, მაგრამ მისამართი შეეშალა და სხვა საგრაფოში გაემგზავრა. მან 321 კილომეტრი გაიარა, ვიდრე საკუთარ შეცდომას მიხვდებოდა.

25 წლის ჰელენ დრაიდენს ბრიტანეთის დედაქალაქიდან 43 კილომეტრში მდებარე ქალაქ გილფორდისკენ მიმავალმა ბოლო მატარებელმა გაასწრო და სახლამდე მისაღწევად ტაქსის გამოძახება გადაწყვიტა. ნასვამ გოგონას ტაქსის უკანა სავარძელზე ჩაეძინა და დაავიწყდა, რომ მის გვერდზე, რომლის დახმარებითაც გამოიძახა ტაქსი, მისამართად ჯერ ისევ ტაინ-ენდ-უირის საგრაფოს ქალაქი ნიუკასლი იყო მითითებული, რომელიც ლონდონიდან 454 კილომეტრში მდებარეობს. იქ მდებარეობს უნივერსიტეტი, რომელშიც გოგონა სწავლობდა.

დრაიდენი საკუთარ შეცდომას მას შემდეგ მიხვდა, როდესაც გზაში მძღოლმა ჰკითხა, დარწმუნებული იყო, რომ მართლაც ნიუკასლში უნდოდა ჩასვლა. გოგონა იძულებული გახდა მომხდარი განემარტა, რის შემდეგაც მძღოლმა მანქანა დანიშნულების ადგილამდე 120 კილომეტრში მოაბრუნა.

მგზავრობა დრაიდენს 275 ფუნტი სტერლინგი დაუჯდა. ჰელენის თქმით, თავს „გამოფიტულად“ გრძნობს, ვინაიდან ტაქსი იმაზე გაცილებით ძვირი დაუჯდა, ვიდრე თავად ვარაუდობდა. მგზავრობის ფული მისი ბარათიდან ჯერ მოხსნილი არ არის, ვინაიდან თანხა არ აღმოჩნდა საკმარისი. კომპანიის უებერის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული პრობლემის მოგვარებაზე მუშაობენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ამერიკელმა 77 კილოგრამიანი უძველესი თევზი დაიჭირა

ამერიკის ოკლაჰომას შტატში მეთევზემ უზარმაზარი ალიგატორული ქარიყლაპია დაიჭირა. აღნიშნული ინფორმაცია ფეისბუქში ეგერების ჯგუფის გვერდზე იქნა განთავსებული.

ზაზარი სატერფილდმა ორი მეტრი სიგრძის და 77 კილოგრამი წონის თევზი ტბა ტეკსომაზე დასვენების დღეებში დაიჭირა. ის მშვილდით, ჰარპუნიანი ისრით და მასზე გამობმული ძუით თევზაობდა.

სატერფილდს თევზის წყლიდან ამოყვანაში ეგერები დაეხმარნენ. მათი თხოვნით მეთევზე ბიოლოგის მისვლას დაელოდა, რომელმაც მისი ნანადირევი გაზომა და აწონა.

ალიგატორული ქარიყლაპია მტკნარი წყლის ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ თევზად ითვლება და ის 56 მილიონი წლის წინ გაჩნდა.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● ჯადოს, თვალის, წყევლის, ფინანსური ბლოკების, ჩაკეტილი ბედის დადგენა-მოხსნა, უძლიერესი თილისმები, მათ შორის „ოქროს დაცვა“, ასევე სახლისა და ოფისების ენერგეტიკული გაწმენდა. ტელ: 568-76-26-40.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ნინო სალუქვაძე ოლიმპიურ თამაშებზე მეცხრედ იასპარეზებს

სამივე სინჯის ოლიმპიური მედლის მფლობელი, ოლიმპიური თამაშების 8-გზის მონაწილე, მსოფლიოსა და ევროპის სამგზის ჩემპიონი, ლეგენდარული ტყვიის მსროლელი ნინო სალუქვაძე ოლიმპიურ თამაშებზე მეცხრედ იასპარეზებს.

ეს ამბავი პეკინში მიმდინარე ტყვიის მსროლელთა მსოფლიო თასზე გაირკვა. საქართველოს ნაკრების ლიდერმა უშეღავათო ბრძოლაში მოიპოვა ტოკიოს 2020 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზია. მომავალი ოლიმპიადისთვის ეს ქართული დელეგაციის პირველი ოლიმპიური ლიცენზიაა.

პნევმატური პისტოლეტით მსროლელთა შეჯიბრების ფინალში ნინო 578 ქულით შევიდა, იქ კი 176.9 ქულით საბოლოოდ მეხუთე შედეგი აჩვენა. რადგან მის წინ მდგომთაგან, ბერძენ ოლიმპიურ და მსოფლიოს ჩემპიონს ანა კორაკაკის, ოლიმპიადის რუს ვიცე-ჩემპიონ ვიტალინა ბაცარაშკინას და უნგრელ ვერონიკა მაიორის უკვე ჰქონდათ ტოკიოს საგზურები, ნინო ავტომატურად მოხვდა ლიცენზიანთა შორის. კიდევ ერთი ლიცენზია კორეელმა მინჯუნ კიმმა მოიპოვა, ვინც პეკინში მსოფლიო თასი მოიგო.

სალუქვაძე ამ მაჩვენებლით ლატვიელ ოლიმპიურ და მსოფლიოს ჩემპიონს, ევროპის ორგზის გამარჯვებულ აფანას კუზმინსს გაუთანაბრდა – აქამდე სროლის სახეობებში მსოფლიოს მასშტაბით, ქალებშიც და ვაჟებშიც ოლიმპიადებში მონაწილეობის რეკორდი მას ეკუთვნოდა. ახლა მისი მიღწევა სალუქვაძემ გაიმეორა.

ასევე 9 ოლიმპიადაზე აქვს მონაწილეობა მიღებული ავსტრიელ აფროსან ჰუბერტ რაუდაშლს, რაც შეეხება სრულიად ოლიმპიზმის ისტორიას, აქ რეკორდი 10 ოლიმპიური თამაშებია. კანადელმა ცხენოსანმა იან მილარმა სწორედ ამდენჯერ იასპარეზა ოლიმპიადებზე, თუმცა მეტიც შეეძლო, რადგან პოლიტიკური მოტივის გამო 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადა გამოტოვა.

კაკტუსი სერიაში დაწინაურდა

ჯაჯტუსი-ესუ 75:66
(25:13, 14:16, 16:15, 20:22)

დაიწყო საკვალიფიკაციო რაუნდი, რომლის მოგებულიც 2019-20 წლების სეზონის სუპერლიგაში ითამაშებს. სერიაში, რომელიც 3 მოგებამდეა, ერთმანეთს სუპერლიგის რეგულარულ ჩემპიონატში ბოლოსწინა, მე-9 ადგილზე გასული კაკტუსი და ა ლიგის ფინალში დამარცხებული კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის გუნდი ხვდებიან.

პირველი მატჩი ოლიმპიურ სასახლეში გაიმართა, რომელიც კაკტუსის უპირატესობითა და საბოლოო გამარჯვებით დასრულდა. არჩილ ჟღენტის გაწვრთნილმა გუნდმა პირველი პერიოდი 25:13 მოიგო, რის შემდეგაც ლიდერობა ხელიდან აღარ გაუშვია და საბოლოოდ გამარჯვებამდეც მივიდა. კაკტუსმა 75:66 გაიმარჯვა.

ჟღენტის გუნდის გამარჯვებაში ყველაზე სოლიდური წილი გიორგი ტურძილაძემ დაიდო -20 ქულა. 16 ქულა მოაგროვა ნიკოლას ნილმა, ხოლო 15 – დელანო სპენსერმა. კავკასიაში 16 ქულა და 12 მოხსნა ანდრე უოლკერის ანგარიშზე დაგროვდა, ხოლო ნიკა მეცხვარიშვილმა შეხვედრა 14 ქულით დაასრულა.

შედეგები

23 აპრილი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ტოტენჰემი-ბრაიტონი 1:0
უოტფორდი-საუთჰემპტონი 1:1

სატურნირო ცხრილი:

1.ლივერპული	35	27	7	1	79-20	88
2.სიტი	34	28	2	4	87-22	86
3.ტოტენჰემი	35	23	1	11	65-35	70
4.ჩელსი	35	20	7	8	59-38	67
5.არსენალი	34	20	6	8	68-43	66
6.მანჩესტერი	34	19	7	8	63-48	64
7.უოტფორდი	35	14	8	13	50-50	50
8.ევერტონი	35	14	7	14	50-44	49
9.ლესტერი	35	14	6	15	48-47	48
10.ვულვზი	34	13	9	12	41-42	48
11.ვესტ ჰემი	35	12	7	16	44-54	43
12.კრ.პალასი	35	12	6	17	43-48	42
13.ნიუკასლი	35	11	8	16	35-44	41
14.ბორნმუთი	35	12	5	18	49-62	41
15.ბაჩნლი	35	11	7	17	44-62	40
16.საუთჰემპტონი	35	9	10	16	41-58	37
17.ბრაიტონი	35	9	7	19	32-54	34
18.კარდიფი	35	9	4	23	30-65	31
19.ფულემი	35	6	5	24	33-76	23
20.ჰადერსფილდი	35	3	5	27	20-69	14

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

უესკა-ეიბარი 2:0
ვალიადოლიდი-ხირონა 1:0
ალავესი-ბარსელონა 0:2

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	34	24	8	2	85-32	80
2.ატლეტიკო	33	20	8	5	48-21	68
3.რეალი	33	20	4	9	58-38	64
4ხეტაფე	33	14	12	7	43-29	54
5.სევილია	33	15	7	11	54-42	52
6.ვალენსია	33	12	16	5	38-27	52
7.ბილბაო	33	11	13	9	36-39	46
8.ალავესი	34	12	10	12	35-44	46
9.ბეტისი	33	12	7	14	38-45	43
10.ესპანიოლი	33	11	9	13	39-48	42
11.სოსიედადი	33	10	11	12	39-41	41
12.ლეგანესი	33	10	11	12	33-38	41
13.ეიბარი	34	9	13	12	42-47	40
14.ვილიარეალი	33	8	12	13	42-46	36
15.სელტა	33	9	8	16	47-56	35
16.ვალიადოლიდი	34	8	11	15	29-47	35
17.ხირონა	34	8	10	16	34-47	34
18.ლევანტე	33	8	10	15	47-61	34
19.უესკა	34	6	11	17	37-55	29
20.რაიო	33	7	7	19	36-57	28

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

გრაფსხაპი-ემენი 1:0
ალკმაარი-ერაკლესი 2:1
ჰერენვენი-ვენლო 2:2
აიაქსი-ვიტესი 4:2

ბელგია. პირველი დივიზიონი

პიასტი-ზაგლებიე 1:0
კრაკოვია-იაგელონია 0:1

უკრაინა. პრემიერლიგა

ოლიმპიკი-არსენალი 2:0
კარპატი-ჩერნომორეცი 0:0
ვორსკლა-დენსა 3:3

დანია. სუპერლიგა

ესბიერგი-ოდენსე 0:0

ნორვეგია. ეროვნული

ოდ გრელანდი-ვიკინგი 1:0

მგზავრები ფინალშია და თანამგზავრს ელოდება

დელტა-მგზავრები 67:92
(11:26, 18:23, 13:27, 25:16)

კალათბურთში საქართველოს თასის გათამაშების პირველი ფინალისტი ცნობილია. ნახევარფინალური სერიის მეორე მატჩში მგზავრებმა დელტას იოლად მოუგო და გადამწყვეტ მატჩში ითამაშებს.

მატჩი მგზავრების უპირატესობით რომ დაიწყო, ასევე დამთავრდა. ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილ გუნდს დაშავებული ჯეიკობ არმსტრონგი აკლდა, თუმცა ყველა კალათბურთელმა ისე კარგად ითამაშა, არანაირი პრობლემა არ შეჰქმნია. მგზავრებმა პირველი პერიოდი 26:11 მოიგეს და დარჩენილ დროში უპირატესობას გამუდმებით ზრდიდნენ. პირველ ნახევარში შეუჩერებელი იყო კახა ჯინჭარაძე, რომელმაც აღნიშნულ პერიოდში 23 ქულა მოაგროვა.

დიდი შესვენებისთვის მგზავრები 20 ქულას იგებდა, მესამე პერიოდში კი უპირატესობამ 30 ქულას გადააჭარბა და მატჩის ბედიც გადაწყდა. ბერიშვილის გუნდმა საბოლოოდ 92:67 მოიგო და ფინალში გავიდა.

გამარჯვებულებს 25 ქულით ჯინჭარაძემ ულიდერა. 17-17 ქულით ადრიან ბოუი და სოსო გოგნაძე გამოირჩნენ. დელტაში 15 ქულით და 12 მოხსნით საუკეთესო იყო ზუკა მაჩალაძე, ოთარ ფხაკაძის ანგარიშზე კი 17 ქულა დაგროვდა.

ტიტები-ქუთაისი 98:93
(25:23, 29:30, 23:22, 21:18)

საქართველოს თასის გათამაშების მეორე ფინალისტი მოგვიანებით გამოვლინდება. ნახევარფინალური სერიის მეორე მატჩში ტიტებმა ქუთაისს სძლია და საერთო ანგარიში გაათანაბრა – 1:1.

მესამე, გადამწყვეტი შეხვედრა ქუთაისში გაიმართება.

სერიის პირველ მატჩში ამ გუნდებს ხუთეულის წევრები დაუშავდათ. ქუთაისელმა დეჟან რაიტმაც და ტიტების ცენტრმა გიორგი შარაბიძემ ფეხის ტრავმა მიიღეს და სეზონი ნაადრევად დაასრულეს. ის მატჩი ქუთაისელებმა მცირე უპირატესობით – 99:95 მოიგეს, ტიტებმა მაშინაც და მე-2 შეხვედრაშიც დიდი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს და გამართული თამაშის წყალობით თასის ფინალში გასვლის შანსი დაიტოვეს.

ლაშა გამყრელიძის გაწვრთნილმა ტიტებმა დასაწყისში მცირე უპირატესობა მოიპოვეს, რასაც მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში ინარჩუნებდნენ. არადა, მე-2 მეოთხედის მიწურულს ტიტებმა დიდი დანაკლისი განიცადეს. ერთმანეთის მიყოლებით მიღებული არასპორტული და ტექნიკური ჯარიმის გამო მოედნიდან ილია ლონდარიძე გავარდა. თბილისური გუნდი ფარქვეშ ბრძოლებში სათადარიგო ელგუჯა ბირკაიას იმედად დარჩა, რომელმაც გაამართლა და საბოლოოდ ორმაგ დუბლს (10 ქულა, 13 მოხსნა) უწია.

არადა, ქუთაისელთა ცენტრი აკაკი დვალიშვილი იშტაზე იყო და ლონდარიძის მეურვეობისას პერიმეტრზეც ადიოდა და 3-დან 3 სამქულიანიც ჩააგდო. ბირკაიასთან კი დვალიშვილი იმდენად შედეგიანი ვეღარ იყო, უკანა ხაზში კი ტიტებს პრობლემები თითქმის არ ჰქონდა, იმდენად კარგად თამაშობდნენ კაჰიმ რენსომი, ლიუკ მეიერი და ჟოელ ალმეიდა.

დიდი შესვენებიდან დაბრუნებული ტიტები შორ სროლებზე გადავიდა, ხოლო ფარქვეშ ბირკაიას შედეგიანობით ხეირობდა. გამყრელიძის გუნდის ლიდერობამ 10 ქულას მიაღწია, თუმცა მესამე პერიოდის ბოლოსკენ 2-ამდე შემცირდა. ყველაფერი დასკვნითმა ათწუთეულმა გადაწყვიტა, რომელიც ტიტების კალათბურთელებმა დიდი სრული კონცენტრაციითა და მობილიზებით ჩაატარეს და გამარჯვებამდეც დიდი სერიოზული პრობლემების გარეშე მივიდნენ – 98:93.

ტიტებს 28 ქულით რენსომმა ულიდერა, 23 ქულა დააგროვა ალმეიდამ, ხოლო 17 – მეიერმა. ქუთაისელთაგან საუკეთესო იყო აკაკი დვალიშვილი – 23 ქულა, 11 მოხსნა, 4 პასი. 20 ქულა გიორგი ბარბაქაძის ანგარიშზე დაგროვდა.

ლივერპული ჰილბოროს ტრაგედიას არ ივიწყებს

2019 წლის 15 აპრილს, ლივერპულის მეტროში, 15:06 საათზე მატარებლებმა მოძრაობა შეწყვიტეს და ქალაქი წუთიერმა დუმილმა მოიცვა.

ლივერპული არ ივიწყებს ჰილბოროს მსხვერპლს.

30 წლის წინ, 15 აპრილს, 96 ადამიანი ქალაქ შეფილდიდან უკან ლივერპულში ვეღარ დაბრუნდა. ისინი საყვარელი გუნდის საქომაგოდ გაეშურნენ და ენით აუწერელი ტრაგედიის მსხვერპლნი გახდნენ.

1989 წლის 15 აპრილი ბრიტანული და საერთოდ ფეხბურთის ისტორიაში უმძიმეს დღედ გადაიქცა. ინგლისის თასის ნახევარფინალში ლივერპული ნოტინგემ ფორესტს ხვდებოდა. შეფილდში ლივერპულიდან 25.000 ფანი ჩავიდა და ჰილბოროს სტადიონს მიაწყდა, თუმცა ტრიბუნებზე მათთვის 14.000-ზე ოდნავ მეტი ადგილი იყო გამოყოფილი.

ლივერპულიდან დაძრულ ქომაგებს გზად გაუთვალისწინებელი დაბრკოლება შეექმნათ. გზატკეცილზე შესაკეთებელი სამუშაოები მიმდინარეობდა, რამაც ხალხი შეაფერხა. ყველაფერს ისიც დაერთო, რომ მატჩი დათქმულ დროზე 10 წუთით ადრე დაიწყო.

დაგვიანებული ფანები სტადიონს მიაწყდნენ და სწრაფად შესვლას ლამობდნენ. ლივერპულის ქომაგებისთვის გამოყოფილი ტრიბუნა, რომელსაც ლიფინგ ლეინი ერქვა, გადაივსო, ხოლო გულშემატკივართა რაოდენობა სულ უფრო და უფრო მატულობდა. წინა რიგებში მჯდომი ადამიანები ინერციით ხულიგნების დამცავი ჯებირისკენ წავიდნენ, მათ უკნიდან ხალხის მასა აწვებოდა, რასაც წარმოუდგენელი ჭყლეტა მოჰყვა. წესით, ჯებირთან პოლიცია და სტიუარდები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებსაც ექსტრემალურ სიტუაციაში ხალხი სხვა ტრიბუნებზე გადაეანაწილებინათ, მაგრამ იქ არავინ აღმოჩნდა.

შედეგად უშუალოდ სტადიონზე დაიღუპა 82, ხოლო 14 ადამიანი მოგვიანებით საავადმყოფოში. აღნიშნული მატჩის კომენტატორი, ბიბისის ჟურნალისტი პიტერ ჯონსი ტრაგედიიდან ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა. დღემდე თვლიან, რომ მან ვერ გაუძლო იმ საშინელებას, რაც საკუთარი თვალით ჰილბოროზე ნახა.

დაღუპულთა შორის იყო 10 წლის ჯონ პოლსი, ყველაზე ახალგაზრდა გულშემატკივარი, რომელიც შეფილდიდან ვეღარ დაბრუნდა. ის ლივერპულის ლეგენდარული ფეხბურთელის, სტივენ ჯერარდის ბიძაშვილი გახლდათ და ტრაგედიიდან 4 დღის შემდეგ საავადმყოფოში დალია სული.

აი, რას წერს სტივენ ჯერარდი თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში.

– ყოველთვის, როცა ენფილდს ვუახლოვდები, ნაბიჯს ვანელებ და შენკლის ჭიშკართან ვჩერდები. ჩემი მზერა ჰილბოროს მემორიალზე ჩერდება. ვხედავ ყველაფერს, რაც მის ირგვლივ არის დატოვებული, რაც იმ 96 ადამიანის ხსოვნას ეძღვნება, რომლებიც 1989 წელს სათასო ნახევარფინალიდან შინ ვეღარ დაბრუნდნენ. ვხედავ შარფებს, ფანების მიერ დაღუპულთა პატივსაცემად მიკრულებს გისოსებზე, რომელთაც მეზობლობას თვალზე ცრემლშეუმშრალი მგლოვიარე ოჯახების მიტანილი გვირგვინები უწევს. ვხედავ მარადიულ ცეცხლს, რომელიც არასდროს ჩაქრება, რათა ამცნოს მსოფლიოს, რომ ის 96 დაღუპული ყოველთვის ჩვენს მახსოვრობაში იქნება.

ნელი სვლით ვუახლოვდები მემორიალს და თვალის ერთი გადავლებით ჩავიკითხავ გვარებს, რომლებიც ლიფინგ ლეინის ტრიბუნის ქვეშ დაეცნენ და ვეღარასდროს ადგებიან.

ერთი გვარი იპყრობს ჩემს მზერას. ჯონ-პოლ გილჰული – 10 წლის ბავშვი, ყველაზე პატარა მათ შორის, ვინც შეფილდიდან ვერ დაბრუნდა. გულშემატკივარი, რომელიც საყვარელი გუნდის ქომაგობას შეეწირა. ბიჭუნა, რომლის სიცოცხლეც ადრეულ ასაკში შეწყდა. მე ვიცნობდი ჯონ-პოლს. ის ჩემი ბიძაშვილი იყო. ზურგზე ცივი ოფლი მასხამს. არასდროს მავიწყდება პირჯვრის გადაწერა და გზას ვაგრძელებ...

არ იყიდოთ „სანი“ – უკვე 30 წელია, ამ პრინციპით ცხოვრობს მთელი მერსისაიდი. პოპულარულმა ბრიტანულმა ტაბლოიდმა, 1989 წლის 16 აპრილს, სამყაროს ამცნო, რომ ლივერპულის ფანებმა გარდაცვლილები გაძარცვეს, ხოლო პოლიციელებს თავზე დააწარდეს. მაშინ „სანს“ ამ ცილისწამებისა და უხამსობისთვის ბოდიში არ მოუხდია და ინგლისის ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე დიდი ტრაგედიის შეურაცხყოფის გამო პასუხი არავის მოსთხოვეს.

დიდი ხნის განმავლობაში ოფიციალურად მიიჩნეოდა, რომ მომხდარი ლივერპულის გულშემატკივრების ბრალი იყო, თუმცა რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარე დამოუკიდებელმა გამოძიებამ დაადგინა, რომ პოლიციისა და თამაშის ორგანიზატორების მხრიდან დარღვევებს ჰქონდა ადგილი.

2016 წელს, 9 ნაფიცი მსაჯულიდან 7-მა ეს ვერდიქტი გამოიტანა.

მოამზადა მისეულ ჟორჟოლიანმა

ადამიანის პოზაში მდგომი გორილები სელფიზე გადაიღეს

კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვირუნგოს ეროვნული პარკის ერთ-ერთმა თანამშრომელმა გორილებთან ერთად გადაღებული სელფი გამოაქვეყნა, რომელმაც სოციალურ ქსელებში უდიდესი პოპულარობა მოიპოვა.

ვირუნგოს ეროვნული პარკის ბრაკონიერებთან ბრძოლის თანამშრომელმა მატიე შამავუმ გადაწყვიტა, საკუთარი „სამუშაო პროცესი“ გადაეღო, რათა ამით საზოგადოების ყურადღება გადაშენების პირას მყოფი ცხოველების მიმართ მიეპყრო. ფოტოსურათის უკანა პლანზე ორი გორილა მოხვდა, რომლებიც უკანა თათებზე ადამიანებივით დგანან. მატიემ აღნიშნული კადრი ფეისბუქში გამოაქვეყნა ჯგუფში, რომელიც ბრაკონიერებთან ბრძოლას ეძღვნება, ხოლო ფოტოსურათს დაურთო წარწერა: „უბრალოდ კიდევ ერთი დღე სამსახურში“.

რამდენიმე დღეში ფოტოსურათმა 25 ათასზე მეტი მოწონება მიიღო, ხოლო 20 ათასზე მეტმა გააზიარა. კომენტატორებმა მატიეს მადლობა გადაუხადეს მისი შრომისთვის თავად სურათს „წლის სელფი“ უწოდეს.

ქალმა კოვზი გადაყლაპა და დამშვიდდა

ჩინეთის გუანდუნის პროვინციის ქალაქ შენჩჟენის მცხოვრები ქალბატონის საჭმლის მომნელებელი სისტემიდან 13 სანტიმეტრიანი ლითონის კოვზი ამოიღეს.

ქალმა კოვზი იმ დროს გადაყლაპა, როდესაც მისი საშუალებით საყლაპავ მილში გაჭედილი თევზის ფხის ამოღებას ცდილობდა. მას ამ შემთხვევიდან კვირაზე მეტი ხნის მანძილზე ექიმისთვის არ მიუმართავს, ვინაიდან კოვზი მას არც ტკივილს აყენებდა და არც დისკომფორტს უქმნიდა.

მეათე დღეს ქალმა მაინც გადაწყვიტა სამედიცინო შემოწმებაზე გაევლო. ექიმებმა გადაყლაპულ კოვზს მიაგნეს და ამოიღეს. მთელ ამ პროცედურას ათი წუთი დაჭირდა. ექიმის შეფასებით, მისი ამოღება დროულად რომ არ მომხდარიყო, შესაძლოა ქალს შიდა სისხლდენა დასწყებოდა.

კანიე უესტის რელიგიური კოლექციის ფასებმა თაყვანისმცემლები გააღიზიანა



ამერიკელი რეპერი კალიფორნიის მუსიკალური ფესტივალის დროს ვაჭრობდა ტანსაცმლის კოლექციით სახელწოდებით „სამოსი ეკლესიისთვის“.

უესტის გუნდმა ღია ცის ქვეშ კარვები გაშალა, რომლებშიც იყიდებოდა ნაცრისფერი და ჩალისფერის ნივთები რელიგიური წარწერებით. მათ შორის, მაგალითად, იყო ლონგსლივები ფრაზებით „საკვირაო წირვა მთაზე“ და „წმინდა სული“, რომელთა ფასი 225 დოლარი იყო, მაისურები წარწერით „იწამე ღმერთი“ 70 დოლარი ღირდა, წინდები „იესო მოდის“ და „საეკლესიო წინდები“ 50 დოლარად იყიდებოდა.

ტვიტერში ინტერნეტ-მომხმარებლები დიზაინერის მაღალმა ფასებმა გააღიზიანა.

– მე მიყვარს კანიე, მაგრამ 225 დოლარის სამოსში გადახდას არ ვაპირებ, – დაწერა კომენტარში ერთ-ერთმა მათგანმა.

– ვინმეს სურს წინდები 50 დოლარად კანიეს სააღდგომო მსახურებიდან, – ირონიულად წერდა მეორე კომენტატორი.

– კანიეს სურს, რომ ის, როგორც დიზაინერი, სერიოზულად აღიქვან, მაგრამ ის მუდმივად ქმნის სამოსს, რომლის მხატვრული ღირებულება ნულია და საკუთარ სახელზე დაყრდნობით მათ სამმაგ ფასში ყიდის, – დაწერა საკუთარ კომენტარში მესამემ.

ამერიკაში ალბინოსი ირემი გამოჩნდა

ამერიკის მიჩიგანის შტატის მცხოვრებმა ფოტოსურათზე აღბეჭდა უიშვიათესი ალბინოსი ირემი. მან თავისი ფოტოსურათი ერთ-ერთ ადგილობრივ გამოცემას გაუზიარა.

ლივინგტონის ოლქის დასახლება ბრაიტონის მკვიდრი რასელ რეომი სახლში მიდიოდა, როდესაც გზისპირას თეთრი ირემი შენიშნა. 74 წლის მამაკაცმა მაშინვე ამოიღო სმარტფონი და ცხოველს სურათი გადაუღო.

– ის ძალიან გაუფრთხილებლად გადადიოდა გზაზე. უნდა დაჯარიმდეს, – იხუმრა ამერიკელმა.

ბიოლოგ ეშლი ოტენრიეტის თქმით, მთელი მსოფლიოს მასშტაბით ალბინოსი ირმების დათვლა ძალიან ძნელია.

– ისინი იმდენად იშვიათები არიან, რომ ზუსტი მონაცემები არ გვაქვს, აქედან გამომდინარე, შეგიძლიათ, თავადაც წარმოიდგინოთ, თუ რამდენად იშვიათ მოვლენასთან გვაქვს საქმე, – განაცხადა ბიოლოგმა.

ადგილობრივებმა ალბინოს ირემს ფიფქია შეარქვეს. თავდაპირველად მისი შეფერილობა ღია ყავისფერი იყო, თუმცა დროთა განმავლობაში მთლიანად გათეთრდა. გარდა ამისა, ალბინოსი ირემი თანამოძმეთაგან ცისფერი თვალებითაც გამოირჩევა, იმ დროს, როდესაც უფრო გავრცელებული ვარდისფერი თვალებია.

ინდონეზიაში ნიანგმა მყვინთავი მოკლა



ინდონეზიის კუნძულ სულავესიზე ნიანგი თავს დაესხა და მოკლა მყვინთავი, რომელიც წყალქვეშ მუშაობდა.

რეპტილიის თავდასხმა იმ დროს მოხდა, როდესაც 30 წლის დარლინ უტი წყალქვეშ მისი სახლის გვერდით გამავალ მილს აკეთებდა. ნიანგმა მას პირი ფეხებს შორის ჩაავლო და სიღრმეში ჩაათრია. მამაკაცის და შეეცადა, ის იმ მილით ამოეყვანა, რომლითაც მას წყალქვეშ ჰაერი მიეწოდებოდა, თუმცა ვერ შეძლო.

მაშველებმა მდინარე დაათვალიერეს და მეორე დღეს შენიშნეს ნიანგი, რომელსაც პირში მყვინთავის სხეულის ნარჩენები ედო. მათ მტაცებლისთვის მისი წართმევა მოახერხეს და ოჯახს გადასცეს დასაკრძალად.

სპილომ ხუთი ადამიანი მოკლა

ინდოეთის ორისას შტატში სპილომ ერთი ღამის განმავლობაში ხუთი ადამიანი მოკლა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

თავდაპირველად ცხოველი თავს დაესხა სოფელ სანდხაში მცხოვრები სამი ადამიანისგან შემდგარ ოჯახს, რომელთაც საკუთარი სახლის ვერანდაზე ეძინათ. სამივე ადგილზევე დაიღუპა. ამის შემდეგ ცხოველმა ამავე სოფლის კიდევ ერთი მკვიდრი გადათელა.

ერთი საათის შემდეგ სოფელ სანტხაპადეში, რომელიც სოფელ სანდხადან რამდენიმე კილომეტრში მდებარეობს, იმავე სპილომ მოკლა მეხუთე ადამიანი, რომლის ვინაობა ჯერჯერობით დაუდგენელია.

აღსანიშნავია, რომ სპილოების ადამიანებზე თავდასხმა ორისას შტატისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს. გარემოს დაცვის საზოგადოების მონაცემებით, ბოლო ცხრა წელიწადში სპილოების თავდასხმის შედეგად 661 ადამიანი დაიღუპა.

ბავშვმა ათეულობით მანქანა გარეცხა, რათა ბებიის საფლავზე მისატანი ყვავილები ეყიდა

შვიდი წლის ეშტონ მიურეიმ გადაწყვიტა, თავადვე გამოემუშავებინა ფული გარდაცვლილი ბებიისთვის მისატანი ყვავილების თაიგულის შესაძენად.

19 აპრილს მიურეიმ მშობლების დახმარებით ავტოსამრეცხაო მოაწყო, რათა ბებიის, ბრენდა ჰასბენდის საფლავზე მისატანი თაიგულისთვის ფული შეეგროვებინა. ოჯახმა სახლის მახლობლად მუყაოს კოლოფი დადგა, რომელზეც დააწერა: „ავტომობილების რეცხვა ორ ფუნტ სტერლინგად“. ასევე ისრის ქვეშ, რომელიც სახლის მიმართულებას უჩვენებდა, ეწერა: „შვიდი წლის ვარ“.

– პირველი 15 წუთი არავინ შემოსულა და მაშინ მან მთხოვა, რომ განცხადების ფოტოსურათი ფეისბუქში გამომექვეყნებინა, – აცხადებს ბავშვის მამა, – ჩემ მიერ გამოქვეყნებულ პოსტს უამრავი კომენტარი გაუკეთდა. ის სიხარულისგან მეცხრე ცაზე დაფრინავდა. მალე ბავშვს კლიენტების რიგი დაუდგა.

შედეგად მან დაახლოებით 100 ფუნტი სტერლინგის შეგროვება შეძლო. მშობლებმა ბავშვი დაიყოლიეს, ფული ყვავილებზე არ დაეხარჯა. მათი აზრით, ბებია ბრენდა უფრო მეტად გაიხარებდა, თუ მისი შვილიშვილი იმ ფულით ისეთ რამეს შეიძენდა, რაზეც დიდი ხანია ოცნებობდა.

პარაშუტისტი სახლს შეასკდა და სასწაულებრივად გადარჩა

ბრაზილიაში პარაშუტისტი სწრაფად დაშვების დროს სახლის კედელს შეასკდა და ცოცხალი გადარჩა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

კადრებში ჩანს, თუ როგორ ემზადება მამაკაცი დასაშვებად მჭიდროდ დასახლებულ რაიონში. ის ნელა ეშვება დაბლა, მაგრამ ამ დროს მის პარაშუტს ჰაერის ძლიერი ნაკადი იტაცებს. შედეგად ის მართვას კარგავს, გვერდით ჩაუფრენს ორსართულიან ნაგებობას და მის პირდაპირ მდგარი სახლის კედელს ეჯახება.

ვიდეორგოლის ბოლო წამებზე პარაშუტისტი მიწაზე ზურგით ეცემა და პორტუგალიურ ენაზე ღმერთს მადლობას სწირავს გადარჩენისთვის. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

25 აპრილისთვის

ვერძი – კეთილისმყოფელი დღეა აქტიური დასვენებისათვის, თქვენთვის სასიამოვნო ადამიანებთან ურთიერთობისათვის. ფიზიკურად ნუ დაიტვირთებით. ** კურო** – ბედი გწყალობთ. ფინანსურ ოპერაციებში გიმართლებთ. ნუ გარისკავთ. **ტყუპები** – თქვენი აქტიურობა დაფასდება და სასურველ შედეგს გამოიღებს. შემოქმედებითი პროფესიის ადამიანებს განსაკუთრებით გაგიმართლებთ. **კირჩხიბი** – დღეს მოვლენები თვითდინებაზე მიუშვით, რათა ყოველგვარი უსიამოვნება და გაუგებრობა თავიდან აიცილოთ. **ლომი** – განსაკუთრებით გაგიმახვილდებათ ინტუიცია. ნურაფერს დაგეგმავთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ საქმიან ქაღალდებზე ხელმოწერისას. **ქალწული** – დღის პირველი ნახევარი სულიერ წონასწორობას მოგიტანთ. პარტნიორების დარწმუნებას დაუბრკოლებლად მოახერხებთ. **სასწორი** – ყველა პრობლემა წარსულში რჩება. გიმართლებთ რომანტიკულ ურთიერთობებში. **ღრიანკალი** – საქმიანი შეხვედრებისა და მივლინებებისათვის შესაფერისი დღეა. წინდაუხედაობა პრობლემებს შეგიქმნით. **მშვილდოსანი** – ნებისმიერ მოვალეობას პირნათლად ასრულებთ. ვარსკვლავები გწყალობენ. **თხის რქა** – აგიმაღლდებათ შრომის ნაყოფიერება. თქვენი ავტორიტეტი საგრძნობლად იზრდება. **მერწყული** – პასიური, მშვიდი დღეა. კოლეგები და პარტნიორები მხარს გიჭერენ. **თევზები** – თვითდამკვიდრებას მშვენივრად ახერხებთ. ხელმძღვანელი პირები თქვენს მუშაობას სათანადოდ დააფასებენ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვორდი ბ



შვეულად: 1. კლდის ვეფხვად“ წოდებული ქართველი ალპინისტი; 2. შემთხვევით ჩავარდნილი შარი ბილიარდში; 3. მაიმუნის ძველი ქართული სახელწოდება; 4. უღელტეხილი საქართველოში; 7. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 9. ლუთერანული ეკლესია; 12. ნიშანთვისებათა ერთობლიობა რაიმეს შეფასების ან კლასიფიკაციისთვის; 14. ქალის სამკაული; 15. უძველესი ქართული დამწერლობა; 17. საჯარო კამათი მეცნიერულ ან ლიტერატურულ საკითხებზე; 20. ცივი საბრძოლო იარაღი.

თარაზულად: 5. ტემპერატურის შკალის გამომგონებელი შვედი ასტროფიზიკოსი; 6. ძვირფასი სარეწაო თევზი; 8. ფირმა „ადიდასის“ დამფუძნებელი; 10. უბანი სოხუმში; 11. პანტომიმის ძველი ქართული სახელწოდება; 13. უმოტორო თვითმფრინავი; 16. ბატონის მიერ ეკლესიისთვის გადაცემული ყმა ფეოდალურ საქართველოში; 18. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საბერძნეთში; 19. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 21. უზადო, უბიწო, უმწიკვლო; 22. თბილისთან დამეგობრებული ინგლისის ქალაქი; 23. ბუდიზმის დამფუძნებელი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბასტურმა; 2. ჰალვა; 3. ბრიუსელი; 4. თოხანი; 7. ციცკა; 9. კრუიზი; 12. ულტიმატუმი; 14. ხარება; 15. სუარესი; 17. კუმურდო; 20. ნესვი.

თარაზულად: 5. ბარახასი; 6. ვეროკიო; 8. ნოვაცია; 10. პიკადელი; 11. ამქარი; 13. სპირალი; 16. სიჭინავა; 18. ხურმა; 19. გაყრა; 21. უემბლი; 22. ასკურავა; 23. ტანდემი.

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჯაკო; 2. ერი; 3. პეტრიწონი; 4. კაშია; 5. სანახშო; 8. უშტი; 9. კატორღა; 10. კიმიგაიო; 12. ხანუკა; 13. ამანი; 15. სვანი.

თარაზულად: 1. ჯორჯაძე; 6. სერენადა; 7. კიური; 10. კირხე; 11. სტეკა; 13. ატომი; 14. კასიო; 16. უშბა; 17. იორდანე; 18. ჩხეიძე.

მეგი გოგიტიძე და ემირ კუსტურიცა მოსკოვში სცენაზე ერთად წარდგნენ

ქართველი მომღერალი მეგი გოგიტიძე მოსკოვში კონცერტებს ხშირად მართავს. ერთ-ერთ ბოლო კონცერტზე ის და სერბი რეჟისორი ემირ კუსტურიცა მოსკოვში სცენაზე ერთად წარდგნენ.

ინფორმაცია და ვიდეომასალა ამის შესახებ ინტერნეტში მეგი გოგიტიძემ თავად გაავრცელა:

– ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა სცენაზე ვმდგარიყავი ემირ კუსტურიცასთან ერთად და თანაც დუეტში! ეს ჩემთვის ძალიან დიდი სიხარული და ბედნიერებაა. კონცერტი მოსკოვში გაიმართა.

4 წლის ელენე გვილავა-ჰარტმანმა საერთაშორისო ფესტივალზე გაიმარჯვა

4 წლის ელენე გვილავა-ჰარტმანმა სომხეთის ისტორიულ წმინდა ქალაქ ეჩმიაძინში რიგით მეხუთე საიუბილეო ბავშვთა და ახალგაზრდა შემოქმედთა ფესტივალ-კონკურსზე „მინორა 2019“ საქართველო ასახელა და პირველი ადგილი მოიპოვა.

ფესტივალში მონაწილეობდნენ მრავალი ქვეყნის სხვადასხვა ჟანრის ქორეოგრაფიული კოლექტივები, ვოკალური ანსამბლები და სოლისტები.

ელენე საქართველოს სახელით უმცროს ასაკობრივ კატეგორიაში მონაწილეობდა. ის საესტრადო ვოკალურ-ქორეოგრაფიულ ანსამბლ „იმედის“ საქართველო-გერმანიის მოქალაქეა. ფესტივალზე პატარა მომღერალმა შეასრულა კომპოზიტორ ნიკოლოზ თითირაშვილის ორი საბავშვო სიმღერა „ყველა ბედნიერია“ მარიამ სიფრაშვილის ტექსტზე და „სიზმარი“ ალეკო ცინცაძის ტექსტზე. ორივე სიმღერის არანჟირება ამერიკაში მოღვაწე ნიჭიერ მუსიკოსს ჯონდო თითირაშვილს ეკუთვნის.

ელენეს მიერ „სიზმარის“ შესრულების დროს, ეკრანზე გადიოდა ვიდეომულტფილმების კოლაჟი, რომელიც მსმენელს ხელს უწყობდა ტექსტის გაგებაში. ვიდეოზე ჯანო თითირაშვილმა იმუშავა. მსმენელი მოიხიბლა ელენეს ვოკალური, პლასტიკური და არტისტული მონაცემებით. ისინი ოვაციებით შეხვდნენ ორივე სიმღერას, რასაც ბევრი საქებარი სიტყვა და დამსახურებული პირველი ადგილი მოჰყვა.

4 წლის ელენე გვილავა-ჰარტმანი დააჯილდოვეს პირველი საპრიზო ადგილის მედლით, დიპლომით და თასით. უმცროს კატეგორიაში გამარჯვებული საავტორო სიმღერა „ყველა ბედნიერია“ განმეორებით იქნა შესრულებული ელენეს მიერ. ფესტივალი აქტიურად გააშუქეს ადგილობრივმა ტელევიზიებმა და პატარა ქართველი მომღერლის წარმატების შესახებ ათასობით ადამიანმა შეიტყო.

ეს იყო პირველი კონკურსი საქართველოს ფარგლებს გარეთ, რომელშიც ელენემ მიიღო მონაწილეობა და მისი დებიუტი წარმატებული აღმოჩნდა. გამარჯვება 4 წლის მომღერალს სომხეთის და საქართველოს მესაზღვრეებმაც მიულოცეს.



ზვიად რატიანი ევროპის 8 საუკეთესო პოეტს შორის დასახელდა

ქართველი პოეტი ზვიად რატიანი ევროპის საუკეთესო პოეტების ნუსხაში მოხვდა.

„ევროპელი პოეტები თავისუფლებისათვის“ – ასე ეწოდება საერთაშორისო ლიტერატურულ პრემიას, რომლის ნომინანტიც ქართველი პოეტი გახდა.

ჟიური მწერლებით, პოეტებით და კრიტიკოსებით არის დაკომპლექტებული და მას პოლონელი პოეტი ქშიშტოფ ჩიჟევსკი ხელმძღვანელობს.

ევროპული ქვეყნიდან შერჩეულ 8 პოეტს შორის საქართველოდან ავსტრიაში წასული ზვიად რატიანიც მოხვდა. საქართველოდან წარდგენილ პოეტთან ერთად გამარჯვებისთვის იბრძოლებენ პოეტები ლატვიიდან, მონტენეგროდან, ირლანდიიდან, მოსნის ჰერცოგოვინადან, ლიტვიდან, ლუქსემბურგიდან და მალტადან.

კონკურსი წელს უკვე მეექვსედ ჩატარდება. საუკეთესო პოეტის დაჯილდოება მომავალი წლის მარტში გდანსკში გაიმართება.

ზვიად რატიანი საქართველოდან საცხოვრებლად ავსტრიაში წავიდა. იგი საპოლიციო კონტროლის ფარგლებში 2017 წლის 23 დეკემბერს დააკავეს. მისი თქმით, სამართალდამცველების გაღიზიანება მისმა ნარინჯისფერმა ქურთუკმა გამოიწვია. პოეტის განცხადებით, იგი პოლიციელებმა გააჩერეს, განყოფილებაში გადაიყვანეს და რამდენჯერმე სცემეს. ზვიად რატიანს სასამართლომ 2.000-ლარიანი ჯარიმა დააკისრა, თუმცა პროკურატურამ პოეტის მიერ სამართალდამცველების მისამართით წაყენებულ ბრალდებაზე გამოძიება დაიწყო.

„თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა“ გაუქმდა

„თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა“ გაუქმდა. გადაწყვეტილება თბილისის საკრებულომ მიიღო და დადგენილება ძალაში უკვე შევიდა.

როგორც დადგენილებაშია აღნიშნული, „დედაქალაქის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 10 აპრილის 19.404.530 განკარგულების გათვალისწინებით, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს, რომ „განხორციელდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის“ ლიკვიდაცია და დაევალოს ქალაქის მთავრობას, უზრუნველყოს ლიკვიდაციასთან დაკავშირებით კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.“

თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორმა, ნინა მაჭარაშვილმა ჟურნალისტებს განუმარტა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლა არ ნიშნავს „მთავარ ბიბლიოთეკაში“ შემავალი 36 ბიბლიოთეკის არც თანამშრომლების განთავისუფლებას და არც შენობების გასხვისებას:

– ბიბლიოთეკარებისთვის სამუშაო პირობები არ იცვლება, რადგან საუბარია მხოლოდ სამართლებრივი სტატუსის ცვლილებაზე, რის შედეგადაც უკვე გაუქმებული სსიპ-ის თანამშრომლები სამუშაოდ გადადიან მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანებაში, რომელიც მერიის მიერ შექმნილი არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირია. აღნიშნული ცვლილებების შესახებ ბიბლიოთეკარები ინფორმირებულნი არიან და მათ უკვე შესთავაზეს ახლად შექმნილ გაერთიანებაში გადასვლა. ბიბლიოთეკებში დასაქმებული 300-ვე თანამშრომელი შეინარჩუნებს სამსახურსა და ხელფასს და იმუშავებს არსებულ შენობებში. ახალ გაერთიანებაში გადასვლით ბიბლიოთეკების მართვა უფრო ეფექტური გახდება, ისინი გარემონტდება და ახალი ტექნოლოგიებით აღიჭურვება. დაგეგმილია ყოველწლიურად მინიმუმ 3 ბიბლიოთეკის გარემონტება. წლის ბოლომდე 2 ან 3 მედიათეკის გახსნაც იგეგმება. რაც მთავარია, მერია ბიბლიოთეკარების ტესტირებას არ აპირებს.

მერაბ კოკოჩაშვილი ახალ ფილმს იღებს

კინორეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი ახალ ფილმს იღებს.

„ტერცო მონდო“ – ასე ეწოდება ფილმს, რომლისთვისაც რეჟისორი პროფესიონალ მსახიობებს ეძებს.

84 წლის რეჟისორი თავისი ფილმის შესახებ ინფორმაციას წინასწარ არ ასაჯაროებს და აცხადებს, რომ დრო მოვა და ყველაფერი ნათელი გახდება.

ფილმის „და ჩვენ ვიცეკვეთ“ მსოფლიო პრემიერა კანის კინოფესტივალზე შედგება

კანის კინოფესტივალზე წარმოშობით ქართველი, შვედი რეჟისორის ლევან აკინის სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის „და ჩვენ ვიცეკვეთ“ მსოფლიო პრემიერა შედგება.

კინოფესტივალის ერთ-ერთი საკონკურსო სექციის პროგრამა უკვე გამოქვეყნდა.

„და ჩვენ ვიცეკვეთ“ ქართული და შვედური კომპანიების კოპროდუქციაა, რომელიც მაყურებელს ახალგაზრდა მოცეკვავის, მერაბის ცხოვრების შესახებ მოუთხრობს. მერაბი რადიკალურად იცვლება, როდესაც ამბიციური მეტოქე შეუყვარდება.

ვანო ტურაბელიძე გაქურდეს

მომღერალი ვანო ტურაბელიძე გაქურდეს. მისი მანქანიდან საწვავი ამოიღეს და ავზიც გაუხვრიტეს:

– არ ვიცი, რა ვთქვა, უბრალოდ ძალიან მიტყდება ასეთი ადამიანების არსებობა. სულ რომ სავსე იყოს ავზი, ეგეთი რამ როგორ უნდა იკადროთ. ბენზინის ავზი გახვრიტეს და საწვავი მოიპარეს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

ვეფხვი ზოოპარკის თანამშრომელს თავს დაესხა და დაასახიჩრა

ამერიკის კანზასის შტატის ზოოპარკ ტოპეკაში იშვიათი სუმატრული ჯიშის ვეფხვი დაწესებულების თანამშრომელს თავს დაესხა და მძიმედ დააშავა.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ მოხდა. ზოოპარკის დირექტორის ბრენდან უაილის თქმით, ზოოპარკის თანამშრომელი იმ დროს აღმოჩნდა ვოლიერში, როდესაც იქ ვეფხვი, სახელად სანჯივი, იმყოფებოდა, რაც უსაფრთხოების დაცვის წესების თანახმად დაუშვებელია. მან აღნიშნა, რომ ქალი დიდი ხანია ამ ცხოველთან მუშაობს და „რაღაც შეცდომასთან გვაქვს საქმე“.

მტაცებელი ცხოველი ქალს თავს დაესხა და კისერზე, თავზე, ხელებსა და ზურგზე ჭრილობები მიაყენა. ზოოპარკის სხვა თანამშრომლები შეეცადნენ საჭმლის დახმარებით სანჯივი ფარეხში შეეტყუებინათ, რათა ქალი გადაერჩინათ. აღნიშნული ინციდენტის შემდეგ დაშავებული საავადმყოფოში გადაიყვანეს, ხოლო ზოოპარკი 45 წუთით დაიკეტა.

ამჟამად ქალი სტაბილურ მდგომარეობაში იმყოფება და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

მიუხედავად თანამშრომელზე თავდასხმისა და მისთვის მძიმე ტრავმების მიყენებისა, ცხოველის დაძინების საკითხი არ განიხილება. უაილმა აღნიშნა, რომ ვეფხვი ზოოპარკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და ის მოიქცა ისე, როგორც მოიქცეოდა ნებისმიერი ვეფხვი, რომლის ტერიტორიაზე ვინმე თუ შეაღწევდა.

სამგლოვიარო განცხადებები

მონატრება

ჩემო ძვირფასო ძმისშვილებო, ექვსი წელი გადის 4 მაისს, რაც თქვენ ჩვენთან არ ხართ, ჩემო *რუსლან (ჯურსა)* და *პართენ (კაჯო)*. ყველა ჩვენიანს ენატრებით. თვალწინ მიდგახართ. გამახსენდებით თუ არა, ცრემლები მომდის. სიზმარშიც ხშირად გხედავთ.

უფალმა ნათელში ამყოფოს თქვენი სპეტაკი სულები.

თქვენზე მონატრებული გივი ბიძიას ოჯახი

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ზვიგენი მამაკაცს კიბოს აღმოჩენაში დაეხმარა

ამერიკის მასაჩუსეტსის შტატის მცხოვრებმა მას შემდეგ გაიგო, რომ თირკმლის ავთვისებიანი სიმსივნე ჰქონდა, რაც საავადმყოფოს სამედიცინო დახმარებისთვის ზვიგენის თავდასხმის შემდეგ მიმართა.

39 წლის იუჯინ ფინი მტაცებელ თევზს კალიფორნიაში დასვენების დროს გადააწყდა. ზღვაში მან თავის 10 წლის ქალიშვილთან ერთად ცურვის დროს ძლიერი ტკივილი იგრძნო.

– უკნიდან რაღაც დარტყმა ვიგრძენი, – იხსენებს მამაკაცი, – ასეთი ძლიერი დარტყმა მანამდე არასოდეს განმეცადა. საკმაოდ მკვეთრი დარტყმა იყო.

მან მაშინვე ხელი სტაცა შვილს და ნაპირისკენ გაემართა. იქ გაიგო, რომ წყალში ზვიგენი შენიშნეს.

ფინის ზურგზე გრძელი იარა ეტყობოდა, რომლიდანაც სისხლი სდიოდა. თავდაპირველად ამისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია, თუმცა ზურგის არეში ტკივილი სულ უფრო უმძაფრდებოდა და იძულებული გახდა, საავადმყოფოსთვის მიემართა. როგორც გაირკვა, ზვიგენის მიერ მიყენებულმა დარტყმამ მკერდის არეში შიდა დაზიანებები გამოიწვია. გამოკვლევის დროს კი ექიმებმა მამაკაცს მარჯვენა თირკმელში კაკლის ზომის ავთვისებიანი სიმსივნე აღმოუჩინეს.

სიმსივნის მოშორება ადრეულ სტადიაში მოხერხდა.

– რომ არა ზვიგენის თავდასხმა, საავადმყოფოს არ მივმართავდი და ვერ გავიგებდი, რომ კიბო მქონდა. ასე რომ, გამიმართლა და ცხოვრების მეორე შანსი მომეცა, რომლის ხელიდან გაშვებას არ ვაპირებ, – განაცხადა მამაკაცმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

25 აპრილისთვის

აშშ დოლარი — 2.6981	ევრო — 3.0359
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5094	100 რუსული რუბლი — 4.2361

ამინდის პროგნოზი 25 აპრილისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

23 აპრილიდან



კარლო კოლოდი

პინოკიოს თავგადასავალი

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

16 აპრილიდან



მარკ ტვენი

პრინცი და მაწანწალა

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

12 აპრილიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა ტომი I

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

19 აპრილიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა ტომი II

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

3 მაისიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა ტომი III

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

10 მაისიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა ტომი IV

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

იუმორი

მამაკაცი ექიმს შესჩივის:

– ექიმო, ჩემი ცოლი ჩემ მიმართ ცივია. სექსზე უარს მეუბნება.

– ექსპერიმენტული წამალი მაქვს. თუ გინდა მოგცემ...

– კი, მინდა ექიმო.

– აი გამომართვი, ყავაში ჩაუგდე, მხოლოდ იცოდე, მხოლოდ ერთი აბი. მეტი არ ჩაუგდო. არ დაგავიწყდეს, რომ საცდელი წამალია!!!

კაცმა წამალი გამოართვა, სახლში მისულმა ცოლს ყავა მოსთხოვა. ქალმა თავისთვისაც მოადუღა და დაასხა. წამით მეორე ოთახში გავიდა. ამ დროს ქმარმა წამლის მის ჭიქაში ჩაგდება სცადა, მაგრამ მღელვარებისგან ხელი აუკანკალდა და ერთის ნაცვლად ორი აბი ჩაუგდო. შემდეგ სასწრაფოდ ამოიღო ზედმეტი და რომ არ გადაეგდო, თვითონ გადაყლაპა. ამ დროს ცოლი დაბრუნდა და ყავის სმა დაიწყო. უცბად ქალს თვალები გაუფართოვდა, სუნთქვა გაუხშირდა და დაიყვირა:

– კაცი მინდაააა...

ის იყო, ქმარმა გადაწყვიტა მომენტით ესარგებლა, რომ უცბად მასაც გაუფართოვდა თვალები, სუნთქვა გაუხშირდა და დაიყვირა:

– მეეეც!!!

●●●

ოჯახი ტელევიზორში საშინელებათა ფილმს უყურებს. ეკრანზე ურჩხულის გამოჩენაზე ბავშვმა დაიყვირა:

– ვაიმე, ბებოოო!

ქმარმა ცოლს გადახედა და ეუბნება:

– ხედავ? ბავშვმაც კი იცნო დედაშენი.

●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

– ბიჭო, ამ დილით რომ შემხვდი, რატომ არ მომესალმე?

– კი დავაპირე, მაგრამ მერე გავიფიქრე, ერთი ამის დედაც მ...ო!

●●●

ერთი მამაკაცი მეორეს ეუბნება:

– ქორწილამდე ჩემი ცოლი ისე მიყვარდა, ისე, რომ მინდოდა ხვევნა-კოცნით დამეხრჩო.

– ახლა?

– ახლა ვნანობ, რომ არ დავახრჩევ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კოუტინიო ჩელსიში გადასვლას არ აპირებს

ბარსელონას ბრაზილიელი ნახევარმცველი ფელიპე კოუტინიო ჩელსიში გადასვლას არ აპირებს.

რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჩელსი კოუტინიოს ტრანსფერში 100 მილიონ ევროს იხდიდა და ბრაზილიელი მათ ედენ აზარის შემცვლელად სჭირდებოდათ, რომელიც, სავარაუდოდ, ზაფხულში ჩელსის დატოვებს.

ჩელსის გარდა, კოუტინიოს მიმართ ინტერესს მანჩესტერ იუნაიტედიც გამოხატავდა, მაგრამ თვითონ ფეხბურთელმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ბარსელონას დატოვებას არ აპირებს.

პაულო დიბალა იუვენტუსის დატოვებასთან ახლოს არის

იუვენტუსის არგენტინელი შემტევი პაულო დიბალა, სავარაუდოდ, ზაფხულში იუვენტუსს დატოვებს.

ბოლო პერიოდში დიბალა საკმაოდ იშვიათად ხვდება იუვენტუსის ძირითად შემადგენლობაში და ის ამის გამო უკმაყოფილებას უკვე აღარ მალავს.

დიბალას ყიდვა რამდენიმე კლუბს სურს, მათ შორის არიან ინგლისური გუნდებიც, თუმცა არგენტინელ შემტევს თავის მომავალზე ჯერ არ უსაუბრია.

უკვე რამდენიმე წელია, რაც დიბალას საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა აქვს იუვენტუსის მთავარ მწვრთნელ მასიმილიანო ალეგრისთან, რაც, ბუნებრივია, მის თამაშზეც ცუდად აისახება.

რეალს კრისტიან ერიქსენი აღარ აინტერესებს

მადრიდის რეალი ერთი პერიოდი დაინტერესებული იყო ტოტენჰემის დანიელი ნახევარმცველის კრისტიან ერიქსენის შეძენით, მაგრამ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ერიქსენი რეალის გეგმებში აღარ შედის.

რეალი ამჟამად ყველაზე აქტიურად ედენ აზარის ტრანსფერზე მუშაობს, რომელიც, სავარაუდოდ, ზაფხულში განხორციელდება.

აზარს რეალში თამაში სურს და ერთადერთი პრობლემა გუნდებს შორის შეთანხმებაა – ჩელსი 100 მილიონზე მეტს ითხოვს, ხოლო რეალი მხოლოდ 80 მილიონს იხდის.

ბარსელონას ყოფილი პრეზიდენტი სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო



ბარსელონას ყოფილი პრეზიდენტი სანდრო როსელი სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო და ორწლიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლა.

როსელს ბრალი კორუფციაში ედებოდა და ეს ბრაზილიაში ხდებოდა, სადაც როსელს თავისი ფირმა აქვს.

როსელს ასევე ფულის გათეთრებაში სდებდნენ ბრალს, მაგრამ პროკურატურამ ეს ბრალდებები ვერ დაამტკიცა.

როსელი ბარსელონას პრეზიდენტი 2010-14 წლებში იყო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

გამოუცდელმა მოთამაშეებმა შეცდომის წყალობით ჯეკპოტი მოხსნეს

ამერიკის ორეგონის შტატში ოჯახურმა წყვილმა ლატარიის გათამაშებაში მიიღო მონაწილეობა და შემთხვევით ჯეკპოტი მოხსნა.

მაიკლ ფოტი და მისი მეუღლე მანქანით მოგზაურობდნენ და გადაწყვიტეს პოუვერბოლის ლატარიის რამდენიმე ბილეთი შეეძინათ. მამაკაცი ორ დოლარად ჩვეულებრივი ბილეთის ყიდვას აპირებდა, მაგრამ შეცდომით უფრო ძვირი ბილეთი შეიძინა, რომელიც პოტენციურ მოგებას სამჯერ ზრდიდა.

– მაღაზიის თანამშრომელმა დააზუსტა, მსურდა თუ არა სახაზო სამდოლარიანი ბილეთის ყიდვა, – იხსენებს მამაკაცი, – წარმოდგენა არ მქონდა, თუ რაზე მელაპარაკებოდა, ამიტომ უბრალოდ ვუპასუხე, „დიახ“. შედეგად იღბლიანმა წყვილმა ფულადი მოგება გაასამმაგა და 150 ათასი დოლარი მოიგო.

ოჯახი მოგებული თანხის ნაწილით დაგროვილი ვალების გასტუმრებას აპირებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. მაღალხარისხოვანი წვრილმარცვლოვანი ყავის ჯიში; 2. დროის ისტორიული მონაკვეთი; 3. მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი. 4. უნგრული ღვინო; 5. მატყუარა, ყალთაბანდი ადამიანი; 8. რომის პაპის ბრძანებულება; 9. კარაქის შესადღვები ხის მოგრძო ჭურჭელი; 10. ზოგიერთ ქვეყანაში მინისტრთა ერთობლიობა; 12. მონასტერი ხულოს რაიონში; 13. თეთრი ფერის ნახევრად ტკბილი ქართული ღვინო; 15. ოპტიკური მინების მწარმოებელი გერმანული ფირმა.

თარაზულად: 1. თანამედროვე ქართველი პოეტი; 6. მცირე ზომის პროზაული ნაწარმოები; 7. უკრაინული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 10. ნეონის ნათურის გამომგონებელი ფრანგი ფიზიკოსი; 11. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა; 13. საქართველოში გავრცელებული ტროპიკული მცენარე, რომლისგანაც იღებენ მაღალხარისხოვან ტექნიკურ ზეთს; 14. შავი ფერის ტკბილი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 16. ხოხბის, კაკბის, გნოლის ბარტყი; 17. დედამიწის ჩრდილო პოლარული ზონა; 18. სადაზღვევო მოწმობა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა